MES 1 21 0000837735

31/08/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.08.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:00სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე;
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

10. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	I
2	დალი ოსეფაშვილი		„ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი	I
3	მაგდა მემანიშვილი		აფილირებული პროფესორი	I
4	კახაბერ ჯაყელი		აფილირებული პროფესორი	I
5	ალექსანდრე ქეშელაშვილი		მოწვეული ლექტორი	I
6	შოთა ნიჟარაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	II
7	მაქსიმ იავიჩი		პროფესორი	II
8	მარინა გედევანიშვილი	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
9	გიორგი ჩუბინიძე		„ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი

1	ლელი ბიბილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნატო ასათიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მაგდა ცინცაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ცოტნე ცაავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:10 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედია და კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი
საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან თელიამ, მან საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განმხილველი ექსპერტის შუამდგომლობა, რომლის თანახმადაც ექსპერტის უცხოეთში ყოფნის გამო რეკომენდირებული იყო საკითხის გადატანა საბჭოს შემდეგ სხდომაზე.
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედია და კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედია და კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	სამაგისტრო
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, №2, 0131
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლელი ბიბილაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან ცალსახად აღნიშნა, რომ პროგრამა არის უნიკალური, ძალიან ძლიერი, მნიშვნელოვანი და საჭირო, რადგან უმნიშვნელოვანესია ბაზარზე არსებობდეს პროგრამა ციფრული კომუნიკაციასა და მედიაზე ფოკუსით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიუხედავად, პროგრამა გადის კვალიფიკაციაზე, მიზნები და შედეგები ადეკვატურია, როგორც დასაქმების ბაზრის, ასევე სტანდარტის, რეკომენდაციები კი ემსახურება პროგრამის გაძლიერებას.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უძლიერესი მხარე, რომელიც საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარს სჭირდება და აღნიშნულ პროგრამას აქვს არის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, რომელიც შემუშავებულია ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკისა და მისი გამოცდილი პირების პრაქტიკის გათვალისწინებით და მომავალში იგეგმება ძალიან აქტიური თანამშრომლობა ამ მიმართულებით. გამომდინარე აქედან, დიდი პოტენციალი გააჩნა საერთაშორისო კონტექსტში, ასევე ჰყავს, როგორც კარგი აკადემიური პერსონალი, აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაცია და ასევე, რადგან პროგრამაში დასაქმების სფეროებად განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები და სოციალური მედიის მენეჯმენტს, უმჯობესია, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები და სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები არჩევითი საგნების ნაცვლად იყოს შეთავაზებული სავალდებულო კომპონენტად, რადგან ის დაფარავს იმ მნიშვნელოვან მასობრივი კომუნიკაციის მიმართულეებებს, რომელიც აღნიშნულ კურსშია განხილული და მნიშვნელოვანია იცოდეს მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტმა.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ვინაიდან ლიტერატურა მოიცავს ციფრულ ნაწილებს, ძალიან მნიშვნელოვანია განახლდეს და დაემატოს ძირითადი ლიტერატურა, რომელიც კურსებში არა მხოლოდ 2010 წლის ლიტერატურაა, არამედ ჭარბობს, ამიტომ, როდესაც საუბარია ციფრულ მედიაზე, მიუხედავად იმისა, რომ მითითებულ ლიტერატურას გაყავს შედეგზე და რელევანტურია, მნიშვნელოვანია, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო სტატიები, უახლესი ტრენდებისა და ა.შ. ასახვა ხდებოდეს ლიტერატურაში.

მათი მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ცოტა უფრო ზოგადი ფორმულირებით არის მოცემული, მაგ., წერია, რომ სამუშაოზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას გაზომავს და ზოგადი „დრაფტივით“ არის, ამიტომ უკეთესი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ არჩევითი კურსია და შედეგის გამომუშავებაში არ მონაწილეობს, უმჯობესი იქნება ნათლად ჩამოყალიბდეს პრაქტიკის ობიექტზე რა მოვალეობები და ფუნქციები ექნება სტუდენტს, რადგან მათგან გამომდინარე იქნება განსაზღვრული კომპეტენციები.

15:20 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიანე სიმონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის პრორექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჯოჯუა, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა

ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის დადებითად შეფასებისთვის, მან განაცხადა, რომ ვიზიტი ჩატარდა კოლეგიალურ ვითარებაში, თუმცა დაწესებულებას აქვს თავისი მოსაზრება რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ პროგრამა გადის კვალიფიკაციაზე და განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისაკენ, ამიტომ გასაკვირია, რომ საკითხი ჩათვლილია, როგორც რეკომენდაცია და როგორც ხარვეზი პროგრამაში, რომ სასწავლო კურსი გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო საგნებში, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ძალიან მარტივია ექსპერტების მიერ გაცემული აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება და მითითებული სასწავლო კურსების სავალდებულო კომპონენტად გადატანა, რადგან დაწესებულებას აქვს აღნიშნული სასწავლო კურსები პროგრამაში, დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ აღნიშნულ რეკომენდაციას, პროგრამა მომზადებულია ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და ამბის თხრობის“ პროგრამის ანალოგიური მოდელით, მაგრამ სრულად ეყრდნობა/შეესაბამება საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ კვალიფიკაციას, პროგრამა კვალიფიკაციას ძლევს 0321 - მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით, რომელიც ამბობს, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია შეისწავლის ჟურნალისტიკის რეპორტიორობის თეორიას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის/ამბის შინაარსზე, პროგრამა სრულად ფარავს მოთხოვნებს აღნიშნული მიმართულებით და ექსპერტთა ჯგუფისგან კითხვა არ დასმულა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციიდან და სიტყვიდან გამოვლინდა, რომ რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისაკენ, კიდევ უფრო გაფართოვდეს სტუდენტების ცოდნა, კვალიფიკაციათა ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის ზემოთ საკითხი უფრო რჩევას წარმოადგენს და არა რეკომენდაციას. დასკვნაში მითითებული, ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის ანალოგიური კვალიფიკაცია ვიწროდ ციფრულ მედიაში არ ანიჭებს კვალიფიკაციას. დაწესებულებას პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიაჩნია ის, რომ პროგრამაში სავალდებულო კურსებთან ერთად შეთავაზებულია მრავალფეროვანი არჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მისი ინტერესების გათვალისწინებით, მრავალმხრივ განვითარდეს.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მკაფიოდ გაწერასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამას რა თქმა უნდა, შემუშავებული აქვს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა და კრიტერიუმები (არგუმენტირებული ესსე და გასაუბრება), მაგრამ ეს დანართი გამოქვეყნდება აკრედიტაციის მიღების შემდეგ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისთვის, როგორც ვიზიტის, ასევე სხდომის დროს არ იყო ღია, რადგან ჯერ კიდევ მიმდინარეობდა აკრედიტაციის პროცესი, დაწესებულების წარმომადგენლებს გაუკვირდათ, ექსპერტთა ჯგუფის პასუხი და ფორმულირება, რადგან მათ დასკვნაში მოსთხოვეს, რომ თემატიკა და კრიტერიუმები განესაზღვრათ, რაზეც დაწესებულებამ უპასუხა, რომ გამოქვეყნებულ მასალაში დაწერილი იქნება შეფასების რუბრიკა, რაც ნამდვილად არის დაწერილი და მას შეეძლო ვებ-გვერდიდან გაეზიარებინა დაწერილი რუბრიკა, შეფასების კრიტერიუმები, ან ჩათში ჩაეგდო ბმული, სადაც მაგისტრანტობის მსურველი იღებს სრულ ინფორმაციას, მათ შორს თემატიკაზე, კრიტერიუმებზე და რუბრიკებზე.
სხდომის თავმჯდომარემ პრორექტორს სთხოვა გაეზიარებინა ბმული.
პრორექტორმა განაცხადა, რომ ბმულის გარეშე აღნიშნულ საკითხზე საუბარია არგუმენტირებულ პოზიციაშიც. მისი თქმით, ვიზიტის დროს არ ყოფილა დასმული კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მაშინაც მზად ჰქონდათ და შეეძლოთ ჩვენება.
დაწესებულება არ დაეთანხმა რეკომენდაციას აკადემიურ წერასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ პროგრამა ცალკე კომპონენტად არ ითვალისწინებს აკადემიურ წერას, რაც არ ნიშნავს, რომ ამ საკითხს ყურადღება არ ექცევა და პროგრამა არ გამოუმუშავებს სტუდენტს ამ

უნარებს ძირითადად, “მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის” მეთოდების კურსში გვხვდება ინტეგრირებული, თუმცა, აკადემიური წერის უნარების ჩამოყალიბება და გაუმჯობესება სამაგისტრო პროგრამაში ხელშეწყობილია სხვადასხვა სასწავლო კურსებიდან. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, პროგრამის სტრუქტურა და ხედვა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი უნდა იყოს საკითხი, ცალკე კურსად იქნება შეთავაზებული თუ ინტეგრირებული იქნება სხვადასხვა სასწავლო კურსებში, პროგრამის ხელმძღვანელისა და მის შემუშავებაში ჩართული პირების ხედვის/აკადემიური თავისუფლების საკითხია და არ მიაჩნიათ ასეთი რეკომენდაცია სწორად, რადგან პროგრამა ამ კუთხით ყველა საკითხს ფარავს და თუ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რომელიმე საკითხი მეტად უნდა იყოს გამოკვეთილი და მკაფიოდ იყოს განსაზღვრული ამ მიმართებით გააკეთონ რეკომენდაცია, რათა პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა პასუხი გასცეს ან გაითვალისწინოს მოსაზრება.

„ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, დალი ოსეფაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს პროგრამის დახასიათებისა და იმ რჩევებისთვის, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა.

პირველი რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ შესაძლებელია აღნიშნული სასწავლო კურსის დამატება, თუმცა რადგან ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის პროგრამაზე დაყრდნობით აკეთებდნენ იქ არ იყო განსაზღვრული, დაწესებულებას აქვს „ბენჩმარკები“, ასევე 4 უნივერსიტეტი, როგორც ევროპული, ასევე სხვა ამერიკული უნივერსიტეტები და არც იქ არ ყოფილა აღნიშნული სასწავლო კურსი შეთავაზებული სავალდებულო კომპონენტში, რაც შეეხება ლოიოლას უნივერსიტეტის პროგრამას, საბოლოო დასკვნაში არის კომენტარი, რომ „ლოიოლას უნივერსიტეტი ვიწროდ ციფრულ მედიაში ანიჭებს კვალიფიკაციას“, რაც უზუსტობაა, რადგან ანიჭებს კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაციას ციფრულ მედიაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლელი ბიბილაშვილი, განმარტა, რომ ანალოგიით არ ხელმძღვანელობენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დასკვნაში წერია „ლოიოლას უნივერსიტეტს ცალკე არ აქვს სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა, ეგ არ არის მისაღები“, თუმცა სწორედ ლოიოლას უნივერსიტეტს აქვს ცალკე კომუნიკაციების პროგრამა, ცალკე პროგრამაა, ორი სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამაა, ერთი ანიჭებს კომუნიკაციის მაგისტრს ციფრულ მედიაში, მეორე კი არის სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა, პასუხში სწორედ ეს ეწერა, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამას არ აქვს სავალდებულო კომპონენტად, მაგრამ ეს გაუგებრობაა, სტრატეგიული კომუნიკაცია არის სხვა პროგრამა და ციფრულ მედიაში არ არის გაერთიანებული. დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრება იყო და პროგრამის ხელმძღვანელ რიშერ როჯერს დასკვნის მიღების შემდეგ, რადგან მათი ასისტენტი იყო და ხშირად უწევდათ მასთან კომუნიკაცია და ჩართული იყო პროგრამის განვითარებაში, მისი მოსაზრებაც იყო ასეთი, რომ სავალდებულო კომპონენტში ეს კურსი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა პრობლემა არ აქვთ შესაძლებელია აღნიშნული კურსის გადატანა სავალდებულო კომპონენტში, თუკი თვლიან, რომ ეს კურსი კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს პროგრამას.

აკადემიური წერის შესახებ მან განაცხადა, რომ სხვადასხვა კურსებში ისწავლება მისი კომპონენტები. ლიტერატურის ნაწილში დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია ისეთი სფეროა, რომ მუდმივი განახლება სჭირდება და აუცილებლად განაახლებენ მუდმივად, თუმცა არ თვლის, რომ ძალიან მოძველებულია, 1-2 სილაბუსში შეიძლება იყოს 2010 წლის ლიტერატურა, რაც ახსენა ექსპერტმა მხოლოდ ერთ სილაბუსშია მითითებული 2010 წლის ლიტერატურა, რომელიც ბევრ წამყვან უნივერსიტეტში ისწავლება, მათ შორის ლოიოლაში, მიჩიგანში და სხვა, საიდანაც კოლეგები უგზავნიდნენ ლიტერატურას, რა თქმა უნდა გაღრმავდება მუშაობა ამ მიმართულებით და დაამატებენ ახალ ლიტერატურას, რაც ბუნებრივი პროცესია.

პრაქტიკის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არჩევითი კურსია და იმ ფორმულირებას, რაც რეკომენდაციაშია მოცემული დაწესებულება არ დაეთანხმა, რადგან

სასწავლო კურსი არჩევითია და რომელი სტუდენტიც არ მუშაობს პროფესიით დაწესებულება ურჩევს, რომ აეღოთ სავალდებულოდ, რადგან კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამას/სტუდენტებს, რომ დასაქმებულიყვნენ მედიაში.
პრაქტიკაში კონკრეტული აქტივობების გაწერასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ეს არის სტაჟირება და ძალიან რთულია სილაბუსით უკარნახონ მედია საშუალებას რა უნდა გააკეთონ, რადგან ყველა მედია საშუალებას თავისი სპეციფიკა აქვს, ტელევიზიას აქვს სხვა მოთხოვნები, ბეჭდურ მედიას - სხვა, შესაბამისად ერთნაირი აქტივობები ვერ გაიწერება, რაც შეეხება იმას, რომ არ წერია, კრიტერიუმები ნამდვილად გაწერილია, ჩაშლილია თითოეული ქულა, გარდა იმისა, რომ ორგანიზაციაში აფასებს მენტორი და დეტალურად არის ჩაშლილი, შემდეგ წარსდგება უნივერსიტეტში კომისიის წინაშე და ეს კრიტერიუმებიც დეტალურადაა ჩაშლილი; რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომ პრაქტიკის კომპონენტში უნდა ჩანდეს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები, დაწესებულება მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში არ ახორციელებს სტაჟირებას, აქვთ მემორანდუმების სია, ჯამში 10 მოქმედი მემორანდუმი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა წამყვან მედია საშუალებასთან, ტელევიზიებთან, გაზეთებთან და ინტერნეტ გამოცემებთან, გარდა ამისა, წელს კიდევ ორი მემორანდუმი დაამატეს, შესაბამისად 10-12 ორგანიზაციის დასახელება სტაჟირებისა თუ პრაქტიკის სილაბუსში არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად, როცა ამდენი ორგანიზაციაა, მითუმეტეს, რომ დაწესებულება მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით, რომ უფრო მეტ ორგანიზაციასთან გააფორმონ მემორანდუმები და კიდევ დაემატებათ, მას არ გონია, რომ მიზანშეწონილია მედია ორგანიზაციების დასახელება, თუ სად გაივლიან სტუდენტები სტაჟირებას.
დაშვების წინაპირობების შესახებ, მისი თქმით უკვე ნახეს, რომ შემუშავებულია კრიტერიუმები და ამიტომ ყურადღებას აღარ გაამახვილებდა.
ცალკეული შეფასების კომპონენტების შინაარსსა და კრიტერიუმებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პრორექტორმა განაცხადა, რომ ნამდვილად გაწერილია და არგუმენტირებულ პოზიციაშიც მისწერეს ექსპერტთა ჯგუფს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ის რაც მიუთითეს ექპერტებმა იყო კონკრეტული სილაბუსები, სადაც არ ჩანდა გაწერილი კრიტერიუმები, თუმცა ნამდვილად გაწერილია, რაც მიუთითეს კიდეც არგუმენტირებულ პოზიციაში, საუბარია თემატიკაზე, თუ რა კონკრეტული დავალება უნდა მიეცეს სტუდენტს, მაგ., არ ჩანდა პროექტის თემატიკა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ლელი ბიბილაშვილის, განმარტებით, მას არ უგულისხმია, რომ შეფასების კრიტერიუმები არ იყო მითითებული და ეს არც რეკომენდაციაში ეწერა, მან იგულისხმა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების მაქსიმალური კონკრეტიზაცია მომხდარიყო დავალების სპეციფიკასთან მიმართებაზე, მაგ., როდესაც საუბარია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების პროექტზე, მასთან დაკავშირებით არ იყო მოცემული და ინტერვიუების დროსაც დაზუსტდა, რადგან სილაბუსშიც არ იყო მოცემული, არა პროექტის თემატიკა, არამედ თუ რა აქვს შესასრულებელი სტუდენტს და რა კონკრეტული კრიტერიუმებით შეფასდება პროექტის წარდგენის შემდეგ, ანუ ეს არის ის, რომ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მიზანი განსაზღვროს, კონკურენტების მიმოხილვა გააკეთოს, სტრატეგიული მიმართულებები შეარჩიოს, ანუ იგულისხმებოდა დავალებისთვის სპეციფიური კრიტერიუმების გაწერა. მეორე ჩანაწერი კი ეხებოდა საკითხს, რომელიც ასევე ინტერვიუების დროს გაირკვა, როდესაც სილაბუსებში არის აქტიურობის კრიტერიუმები, რომელიც ჯამში, კურსის ბოლოს ფასდება 15 ქულით, აღმოჩნდა, რომ ამ აქტიურობაში, კურსის ხელმძღვანელები გულისხმობენ კონკრეტულ კვირებში კონკრეტულ ქეისებს, დისკუსიებს და სხვა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა კითხვა ხომ არ იქნებოდა უკეთესი, გაწერილიყო კონკრეტულად დისკუსიის დროს რა ფასდება, პროექტის დროს რა ევალება სტუდენტს მიზნის განსაზღვრა, სტრატეგიული მიმართულებების შერჩევა თუ რა,

ასევე ქეისების ამოხსნის დროს რით შეფასდება, მას არ უგულისხმია, რომ დაწესებულებას არ აქვს კრიტერიუმები, რადგან რეალურად აქვს, მაგრამ თუ უფრო მეტად იქნება დაზუსტებული დავალების სპეციფიკასთან დაწესებულებას წაადგება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, დალი ოსეფაშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გასაგები იყო თუ რა იგულისხმა ექსპერტთა ჯგუფმა, თუმცა გაწერილია თუ როგორ ნაწილდება აქტივობის 10-15 ქულა, რაც ბუნებრივია, რომ აქტივობის კომპონენტია შემოტანილი, რადგან დასწრებაში ქულა არ იწერება და სხვადასხვა კურსში სხვადასხვანაირად არის, ზოგიერთ თეორიულ კურსში დისკუსიებია, ანუ რამდენად ახერხებს სტუდენტი დისკუსიაში ჩართვას, რაც შეეხება კონკრეტულ დავალებებს, პრაქტიკულ კურსებში სადაც დავალებებია, ცალკეა გაწერილი აქტივობის გარდა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა პროგრამის ხელმძღვანელს.
აფილირებული პროფესორმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ პროექტებს ადგენენ დაახლოებით ორკაციანი ჯგუფები, ისინი ირჩევენ კომპანიას და აშუქებენ აღნიშნული კომპანიის ინტეგრირებული მარკეტინგის კომუნიკაციების მიმდინარეობასა და პრეისტორიას, თუ როგორ ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაო, როგორ აქვთ დასახული მიზნები, როგორ აქვთ ბაზარი გამოკვლეული, როგორ უნდა მიაღწიონ სამიზნე სექტორზე ეფექტიანობას, რას გააუმჯობესებს აღნიშნული პრომოცია და ინტეგრირებული მარკეტინგის გამოყენება, რამდენი პროცენტით გაიზრდება კომპანიების მიმართ ცნობადობა, ემოცია, იმიჯი, როგორი იქნება ქცევა მათი პროდუქციის მიმართ და სხვა.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა ესაუბრა კონკრეტულ საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმდენად საინტერესო პერიპეტიები იყო დაგეგმილი, რომ რადგან დაისვა კითხვა ამიტომ საუბრობდა საკითხზე.
სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ საუბარი იყო შეფასების კრიტერიუმებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს იქიდან თუ რამდენად ღრმად სწავლობენ სტუდენტები აღნიშნული დაწესებულების ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ბიუჯეტის, პროექტის შედგენას და ეფექტიანობის კრიტერიუმების დადგენას, საბოლოო ჯამში გუნდის წევრებიც აფასებენ ერთმანეთს, ხოლო მათი შეფასება ხდება ჩვეულებრივად, რაც გაწერილია სილაბუსშიც.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა. რომ სწორედ ამ გაწერილ კონცეფციას ეხებოდა კითხვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ ქონდა პრობლემა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შეეძლო უფრო მეტად დაეკონკრეტებინა, უბრალოდ სხდომის განმავლობაში არ ჰქონდა სილაბუსი თან.
პროგრამის ხელმძღვანელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს ბიუჯეტი და ექსპერტების მოსაზრებით დაწესებულებამ უფრო მეტად უნდა დააკონკრეტოს, რაც გაუგებარია დაწესებულებისთვის, რადგან ამას ქვია პირობითი ბიუჯეტი და დაწესებულებას დაანგარიშებული ჰქონდა 10 სტუდენტის შემთხვევაში როგორი იქნება პროგრამის ბიუჯეტი, თანხა გათვალისწინებულია სახელმძღვანელოებსა და კვლევაზე, თუმცა მინაწერიც იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა და ასეც ხდება, აღნიშნული მინაწერი გაჩნდა, რადგან ბიუჯეტი გაწერილი იყო 10 სტუდენტზე და პირველ წელს, რადგან როდესაც შეძლებენ სტუდენტებს მიღებას, შესაძლებელია 10 სტუდენტზე ნაკლები მივიდეს, თუმცა პროგრამა მაინც შედგება, მაგრამ ის თანხა, რაც პირობით ბიუჯეტს დააკლდება დაიფარება უნივერისტეტისა თუ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ამასთანავე, უნივერსიტეტს ცალკე აქვს კვლევის ხელშემწყობი პროგრამა, გარდა იმისა, რომ 3000 ლარი გამოიყოფა თითოეულ აფილირებულ პროფესორზე წლის მანძილზე, ცვლილება შევიდა დებულებაში და გარკვეული მატერიალური წახალისებაა პროფესორებისთვის, როდესაც ისინი რეფერირებად/რეიტინგულ ჟურნალებში გამოაქვეყნებენ კვლევებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ის ბიუჯეტი, რაც წარმოდგენილია, გაწერილია ერთ წელზე, ამიტომ არ არის გაწერილი კვლევის ხარჯები, რადგან პირველი წლის მაგისტრატურის სტუდენტები არ ატარებენ კვლევას, მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაედასტურებინათ აღნიშნული საკითხი, მან აღნიშნა, რომ დეტალურად წაიკითხა თუ როგორ ნაწილდებოდა 37500 ლარი, სადაც კვლევის ხარჯი არ იყო და ვერც იქნებოდა, რადგან პირველ წელს კვლევა არ ტარდება, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაც შესაბამისია, დაწესებულებას ჰიპოთეტურად უნდა გაეკეთებინა მეორე წლის ბიუჯეტიც, სადაც გამოჩნდებოდა კვლევის ხარჯებიც.
პროგრამის ხელმძღვანელი, დალი ოსეფაშვილი, დაინტერესდა მოეთხოვებოდათ თუ არა შემდეგი წლის ბიუჯეტის გაწერა.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ კარგი იქნებოდა, თუმცა საუბარი არ არის იმაზე, რომ რადგან ეს არ გააკეთეს რამე ფუჭდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არ გააკეთეს, რადგან ბიუჯეტი ყოველწლიურად დგება.
ექსპერტმა, ნატო ასათიანმა, სტრატეგიული კომუნიკაციის სასწავლო კურსის სავალდებულო/არა სავალდებულო კომპონენტში არსებობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაცია წამოვიდა შემდეგი გარემოებიდან: დაწესებულებას დასაქმების სფეროებში უწერია სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულება, ეს იქნება დეპარტამენტები თუ სხვა სამსახურები, აქედან გამომდინარე, ქართული რეალობის გათვალისწინებით გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია. მისი მოსაზრებით პროგრამის ამერიკელი კონსულტანტი შესაძლებელია ცოტა სხვანაირად უყურებდეს, რადგან სხვადასხვა დასაქმების ბაზარია. მან აღნიშნა, რომ 15 წელია სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში მუშაობს და აქედან გამომდინარე იყო მისი სურვილი რეკომენდაციის გაწერის შესახებ, რადგან თუ დაწესებულება ზრდის ისეთ მაგისტრებს, რომლების სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში დასაქმდნენ, არა მხოლოდ მედიაში და არა მხოლოდ ამბის თხრობის მიმართულებით დასაქმდნენ, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულების სავალდებულო საგნად დამატება, თუმცა უნივერსიტეტის პროგრამაა და გადაიტანენ თუ არა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გარდა ამერიკისა „ბენჩმარკინგად“ აღებული ჰქონდათ ევროპის უნივერსიტეტებიც, რომლებშიც არ იკითხება აღნიშნული კურსი სავალდებულოდ, თუმცა დასაქმების სფეროში უწერიათ სოციალური მედიის მენეჯერებიც.
ექსპერტმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, თუმცა განმარტა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის მიზეზები.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მას არ აქვს პრობლემა და შეუძლია გაიზიაროს ეს რეკომენდაცია, რადგან მომზადებული აქვთ ეს სილაბუსი და საკმაოდ ბევრი იმუშავეს, უნდოდათ რომ პროგრამაში ჰქონოდათ, რადგან თანამედროვე მიმართულებაა და დაახლოებით წელიწადნახევარი მუშაობდნენ აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსზე, უბრალოდ თავიდან იმ მიზეზით არ მოხვდა სავალდებულო კომპონენტში, რომ მუშაობა მიმდინარეობდა რიშელ როჯერსის ასისტენტობით და ასევე ქართველი დამსაქმებლების, მათ არ ჰქონიათ ასეთი მოთხოვნა.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ, განაცხადა, რომ წარდგენილ ბიუჯეტში მითითებულია კვლევის ხარჯები, ასევე მითითებულია სახელმძღვანელოების შესყიდვის ხარჯები. მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საუბარი იყო იმაზე, რომ დაკორექტირებულიყო და ცხადი გამხდარიყო კვლევითი საქმიანობისთვის განსაზღვრული თანხა, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით კვლევითი საქმიანობის წახალისებისთვის განმარტებას ითხოვდნენ ექსპერტები, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში, მან დასძინა, რომ შეეძლოთ დაემატებინათ პროგრამის ბიუჯეტში, თუმცა ეს პროცედურულად უფრო გაართულებდა აღნიშნულს, დაუმატებს საფეხურებს და არ გააუმჯობესებს მას, პროცესის მიმდინარეობა ექსპერტებმა თავად ნახეს სხვა პროგრამების ფარგლებში.

მან აღნიშნა, რომ გახსნა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სილაბუსი, რომლის შესახებაც ლექტორს არ შეეძლო შესაბამისად რეაგირება და პასუხის გაცემა, მან კი ნახა და განმარტა, რომ სილაბუსში გაწერილია თუ როგორი უნდა იყოს პროექტი, რა მოცულობა უნდა ჰქონდეს, ასევე საუბარია თემის შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ, „თემა წარმოდგენილია სრულყოფილად და ამომწურავად“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მას არ უსაუბრია თემის შესახებ, რადგან თემები და ღია კითხვები ჩაშლილია, ინტერვიუზეც გაიარეს ეს საკითხი და ამიტომ დაიწერა რეკომენდაცია პროექტის უფრო სპეციფიური კრიტერიუმების გაწერის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ გაეცნო სილაბუსებს და ისურვებდა, რომ თვითონ ესწავლა აღნიშნულ პროგრამაზე. სწავლის შედეგების შეფასების შესახებ დაინტერესდა და გახსნა რამდენიმე სილაბუსი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მაგ., სასწავლო კურსი „შესავალი ციფრულ მედიაში“, მისი შედეგების შეფასება ითვალისწინებს აქტივობის შეფასებას 15-ჯერ ერთი ქულით, დაინტერესდა თუ როგორ არის წარმოდგენილი, რამდენი სასწავლო კვირაა, ფასდება თუ არა სტუდენტი შუალედური შეფასებისა და პროქტის პრეზენტაციის კვირებშიც. ასევე, მისი მოსაზრებით ძალიან საინტერესო მეთოდებია შეთავაზებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, როლური თამაშებისა და სხვა სახით, ბევრ სილაბუსში გადატანილია, თუმცა კვირებისა და თემების მიხედვით არ იკვეთება, ამიტომ რომ არ დარჩეს Copy-Paste-ს შთაბეჭდილება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ სად ჩანდა ეს ყველაფერი სილაბუსებში. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები სხვადასხვა სილაბუსში სხვადასხვანაირად იყო ფორმულირებული, ზოგგან აქტიური ზმნებით, ზოგგან - „იცის“, „შეუძლია“, დაინტერესდა თუ რა იყო ამის მიზეზი, დაწესებულება არ ჩაერია ლექტორის აკადემიურ თავისუფლებაში თუ რატომ არის მოძველებული მიდგომით, რადგან რთულდება გაზომვა, როდესაც წერია „იცის თეორიები“, „აქვს ცოდნა“ და სხვა, შესაბამისად ჯობდა აქტიური ზმნებით ყოფილიყო გაწერილი.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ რამდენჯერმე იქნა ნახსენები სიტყვა „ბენჩმარკინგი“ და მან ეძება, თუმცა ვერ იპოვა დოკუმენტი, შესაბამისად დაინტერესდა თუ აქვთ ცალკე წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტი, რადგან საინტერესოა სხვა პროგრამებთან დადარება, არა მხოლოდ საზღვრებს გარეთ, არამედ საქართველოშიც, რაც შეეხება რიშელ როჯერსს, იგი ყველა უნივერსიტეტში დადიოდა, მათ შორის თსუ-შიც და მათ დაწყებული აქვთ აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა არა რიშელ როჯერსთან, არამედ სხვა ექსპერტებთან თანამშრომლობით, პროგრამა ნამდვილად აქტუალურია და კარგი იქნება თუ დაიტვირთება მედია სივრცე ამ ტიპის სპეციალისტებით რაც დაწესებულებას აქვს დასახული, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას შესწავლილი საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზარი სასწავლო და კვლევითი მიმართულებით.

მისი თქმით, ასევე საუბარი იყო ლიტერატურაზე, ვინაიდან თვითონაც ამ ტიპის პროგრამაზე მუშაობს მისთვის ცნობილია, რომ ძალიან მწირი ლიტერატურაა, მითუმეტეს თითქმის არ არსებობს ქართულ ენაზე, მან შეიტანა პროექტი და ამერიკის საელჩო აფინანსებს ახალი სახელმძღვანელოს მომზადებას, პროფესორებს განაწილებული აქვთ სხვადასხვა საკითხები: პოდკასტინგი, კიბერ უსაფრთხოება და სხვა, დაინტერესდა თუ რას აპირებს აღნიშნული დაწესებულება მხოლოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით ასწავლიან თუ რაღაცა მიზნები აქვთ/მუშაობენ ახალ რიდერებზე.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, აკადემიურ წერასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სრულიად შესაძლებელია აკადემიური წერის კომპონენტები ინკორპორირებული იყოს კვლევი მეთოდების კურსში, თუმცა ციტირების თემის გარდა გაუჭირდა იდენტიფიცირება თუ რომელი კვირა ეთმობოდა აკადემიურ წერას, ესეც რომ გვერდზე გადაიდოს კვლევის მეთოდებში ძალიან მნიშვნელოვანია ნაშრომის შესახებ თავი, სადაც განხილული იქნება სტრუქტურა, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების განხილვა, რაც ვერ ნახა

სილაბუსებში. ამავე კურსის შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით რაზეც რეკომენდაცია იყო, მაგ., პირველი დავალება კვლევის მეთოდებიდან, არის პრეზენტაცია, მაშინ, როდესაც უნდა იყოს ონლაინ გამოკითხვა, არსად არ არის კითხვარის შეფასება, მაშინ როდესაც მეორე დავალებაზე აქცენტი გაკეთებულია კოდირების ტექნიკაზე, ნაკლებად არის შეფასების კომპონენტში ნაშრომის შეფასება, რომელიც აფიქრებინებდა საბჭოს წევრებს, რომ აკადემიური წერა არ არის ცალკე სასწავლო კურსად, რადგან იფარება ამ კურსში, ძალიან ბევრი თემაა დაფარული კვლევის მეთოდებში და ძალიან რთულია თვისებრივი და რაოდენობრივის კარგად გავლა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ მისი კითხვა ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, რადგან თავიდანვე იყო დოკუმენტი, რომელშიც ეწერა „დამსაქმებელთა გამოკითხვა“, საუბარი იყო 8 დამსაქმებლის გამოკითხვაზე, შემდეგ მან მიიწერა, ცენტრმა წარადგინა ახალი კვლევა რომელსაც აწერია „დამსაქმებელთა წინასწარი კვლევა“ და წარმოდგენილია 14 დამსაქმებელი, სადაც ზემოაღნიშნული 8 – 14-ში შედის. დაინტერესდა არის თუა რა რელევანტური 14 დამსაქმებლის გამოკითხვა, აძლევს თუ არა წარმოდგენას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, თანაც იქ ძალიან საგულისხმო ფრაზაა, რომ ცახდდება მხოლოდ 1-2 ვაკანსია.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი, თუმცა მისი მოსაზრებით რელევანტურია.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მისი ვარაუდით, კრონბახის ალფა დათვლილი არ არის და მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით არის რელევანტური. რაც შეეხება ბიუჯეტს 10 სტუდენტზე გაწერილია 2000 ლარი კვლევისთვის, ანუ თითოეულ სტუდენტზე 200 ლარი, დაინტერესდა იყო თუ არა ეს რელევანტური თანხა.

უნივერსიტეტის პრორექტორმა განმარტა, რომ ეს იყო პირველი წლის თანხა.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, ასევე დაინტერესდა ორ სილაბუსთან დაკავშირებით, რადგან ისინი ახლოს იდგა მისი მუშაობის ველთან დაკავშირებით, მას ძალიან მოეწონა სტრატეგიული კომუნიკაცია, არჩევითი იქნება თუ სავალდებულო მას გაუჭირდება ამაზე საუბარი, მისი მოსაზრებით წინაპირობის გარეშე შეუძლებელია საგნის დაძლევა, რადგან პირდაპირ უხსნიან თეორიებს ტომსონი-ტრიკლენტიდან, 2010 წლისაა, ცოტა ძველია, ბაკალავრიატის დონეა, მაგრამ რაღაც უნდა ჰქონდეს ნასწავლი, ელემენტარული მენეჯმენტის კურსი, რომ იქ გაარკვიოს რა სტრატეგიებია, ამ კურსების ლოგიკა ასე იგება ხოლმე, ამიტომ თუ დაწესებულება თვლის, რომ იმდენად მარტივი ენით არის ტომსონი-ტრიკლენდი, მაშინ აცდენაა საფეხურებთან.

მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, კახაბერ ჯაყელს, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის სასწავლო კურსთან დაკავშირებით, დაინტერესდა ერთი კურსიც რომ არ აქვს სტუდენტს ნასწავლი, ყველაზე მარტივი მარკეტინგის საფუძვლები, რომ არ აქვს ბაკალავრიატში ნასწავლი, მოვიდა სტუდენტი „ლიბერალ არტ“ განათლებით, ცოტა რთული თემებია და როგორ დაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ კურსს არ აქვს დაშვების წინაპირობა, გარდა ამისა აღნიშნა, რომ ძალიან კარგი კურსია, ციფრული მედია კომუნიკაცია ინტეგრირებული მარკეტინგის გარეშე მისთვის რთულად წარმოსადგენია, მაგრამ ერთ კურსიც არ ისწავლა სტუდენტმა, მარკეტინგის საფუძვლების შესახებ და ხომ არ გაუჭირდება აღნიშნული კურსის დაძლევა.

საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულებას, რომ მისი ყველა კითხვა მიეღოთ, როგორც კეთილგანწყობილი ადამიანის რჩევაა.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ გადახედა პროგრამას და გაუჩნდა რამდენიმე კითხვა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს „ციფრული მედია და კომუნიკაცია“, რაც ნაწილობრივ სატელევიზიო კომუნიკაციასაც შეეხება, სპეციალისტი ყველაფერში უნდა იყოს გარკვეული, ამიტომ აქვთ სასწავლო კურსი „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „პროგრამირება“, „ალბათობა და სტატისტიკა“ და სხვა, თუმცა არ აქვთ ჩასმული მათემატიკის არცერთი ნაწილი, მაგ., „ქსელის მუშაობის პრინციპები“ როგორ უნდა შეისწავლოს სტუდენტმა,

თუ მას მათემატიკა ერთი სემესტრიც კი არ აქვს გავლილი. შედეგებში დაწესებულებას უწერია, რომ „მას შეუძლია შექმნას ორიგინალური, ახალი პროექტი და ინოვაციური პროდუქტი“, დაინტერესდა ხომ არ ასწავლიან ინოვაციებს რომელიმე სასწავლო კურსში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ თვითონ პროგრამაა ინოვაციური. შეფასების ფორმებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „შესავალი ციფრულ მედიაში“ მოიცავს 15 კვირას, თუმცა ლექცია არსის 3 საათიანი, შუალედურის კვირაში ლექცია ჩვეულებრივად ტარდება, შესაბამისად თითო ლექციაზე ნაგულისხმევია ერთ ქულიანი აქტივობა და კრიტერიუმიც შესაბამისად არის გაშლილი. სიმულაციის, როლური თამაშების და ა.შ. შესახებ მან განმარტა, რომ ძირითადად ხდება სხვადასხვა პრაქტიკულ საგნებში, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია ისეთი სფეროა, სადაც არის ზოგიერთ მკვეთრად გამოკვეთილი პრაქტიკული, ზოგიერთი კი თეორიული კურსი, შეფასების მეთოდები ძირითადად გამოიყენება პრაქტიკულ კურსებში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განცხადა, რომ მისთვის გასაგებია 15 ქულა როგორ იყოფა 15 კვირაზე, მისი მოსაზრებით 3 საათიანი ლექციის დროს ალბათ ჯერ ლექტორი საუბრობს და შემდეგ გამოიყენებს სტუდენტების შესაფასებლად, მისი კითხვა ეხებოდა იმ საკითხს, თუ რას შეაფასებდნენ ან პირველი შეხვედრის ან შუალედური გამოცდის შეფასებისას, თუ პირველ ლექციაზე ისეთი კომპეტენცია დააგროვა სტუდენტმა, რომ ლექტორს ექნება საშუალება სწავლის შედეგი ან რომელიმე კომპეტენცია შეაფასოს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შესავალი კურსია და შესაბამისად დისკუსია მიმდინარეობს ლექციის შემდეგ სემინარზე და შეფასდება თუ რამდენად აქტიურად იყო სტუდენტი ჩართული დისკუსიაში.
საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ ანუ ფასდება მისი აქტიური მონაწილეობა და არა კომპეტენცია ფასდება, როგროც ქმედება-აქტივობა და არა კომპეტენცია, ასევე შუალედური გამოცდის შემდეგაც, როდესაც სტუდენტი უკვე შეფასდა გამოცდაზე, ალბათ მისი აქტივობის შეფასებაა.
პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს. აქტიური ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ცდილობდნენ ყველაფერი გაეწერათ აქტიური ზმნებით და აუცილებლად გაასწორებენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ გარკვეულწილად საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, მართალია, მაგრამ ეს ისეთი დარგია, რომ ადამიანი როდესაც ასეთ დარგზე აბარებს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული მარკეტინგული პრინციპების ცოდნა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მას არ აქვს გავლილი მარკეტინგის საფუძვლები, დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მას პირველ ორ-სამ თავში შეუძლია ათვისოს მთლიანი მარკეტინგის გარკვეული პრინციპები, ვერ ხედავენ დაუძლეველ ბარიერს, თუ არ ექნება გავლილი ლექტორი დაეხმარება მას, დამატებით ხვდება და ასწავლის, სტუდენტს რომელსაც ცოდნა სწყურია, აქედან გამომდინარე თვლის რომ ყველაფერი კარგადაა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი ნამდვილად ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, მას შეუძლია ნახოს და გააზიაროს.
ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ მეათე ფაილში იყო წარმოდგენილი.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ჩათში გაეზიარებინა აღნიშნული ფაილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა ლიტერატურასთან დაკავშრებით განაცხადა, რომ განახლება მუდმივად სჭირდება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ლიტერატურას, თუმცა საბჭოს წევრმაც აღნიშნა, რომ ძალიან მწირია ქართულენოვანი ლიტერატურის მოცულობა ამ დარგში, რაც შესაძლებელი იყო ქართულენოვანი ლიტერატურა სრულად მითითებულია, თუმცა ძირითადად გამოყენებულია უცხოენოვანი. დაწესებულება ძირითადად ეყრდნობოდა რიშელ როჯერსის მიერ გადაგზავნილ სილაბუსებს, მოხდა მათი ადაპტაცია ქართულ რეალობასთან, ლიტერატურა ძირითადად იგივეა, თუმცა ასევე დაამატეს სხვა სახელმძღვანელოები. დაწესებულებამ პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2019 წლის შემოდგომაზე და მაშინ დაიწყეს მუშაობა ცალკეულ სილაბუსებზეც, ასევე ცდილობდნენ დროდადრო განეახლებინათ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ზოგი იყიდეს, ზოგი საჩუქრად

გამოუგზავნეს ამერიკელმა კოლეგებმა და სხვა. რაც შეეხება კითხვას, რომ თსუ-ში თვითონ ამზადებენ რიდერებს და რას აპირებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამ მიმართულებით, დაწესებულება გამოიყენებს იმ ლიტერატურას, რაც მომზადდება ქართულად და ასევე შეეცდება გაიმარჯვოს პროექტებში და შეძლოს ქართულ ენაზე შექმნას რიდერები. თუმცა ცალკეულ სასწავლო კურსებში ლექტორებს მომზადებული აქვთ რიდერები, მაგ., ალექსანდრე ქეშელაშვილი - „ციფრული ამბის თხრობა (1, 2)“, „ციფრული დიზაინი“, ასევე ეკატერინე ფირცხალავას კურსი - „ციფრული ნარატივების თხრობა“, სადაც ლექტორებს თვითონ აქვთ მომზადებული თავისი რიდერები და გარდა იმისა, რომ იყენებენ ძირითად ლიტერატურას, იყენებენ თავის რიდერებსაც. პროგრამის სხვა ქართულ პროგრამებთან დადარების შესახებ მან განაცხადა, რომ „ბენჩმარკინგში“ აქვთ მხოლოდ 5 უცხოური უნივერსიტეტი, ქართულ რეალობაში მზადდება „ციფრული მედიის“ სამაგისტრო პროგრამები ამერიკის საელჩოს მედია განათლების პროექტის ფარგლებში, აღნიშნული დაწესებულება ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც დაიწყო, მათ ჯერ არ უნახავს დასრულებულ პროგრამა, შესაბამისად სხვა პროგრამა ამ მიმართულებით არ არსებობს, მხოლოდ ჯიპას აქვს საბაკალავრო პროგრამა „ციფრული მედია და კომუნიკაცია“.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისი ინფორმაციით ტექნიკურ უნივერსიტეტსაც აქვს, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ისინი მედია ინჟინერიის კუთხით არის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ეს არ არის ინჟინერიის პროგრამა, ახლახანს გადააწყვეს, შეეცვალა სახელი და გაიარა აკრედიტაცია, ვინაიდან არ არის დარგის სპეციალისტი, არ შეუძლია დაწვრილებით ისაუბროს პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა მიმართა კოლეგებს რათა დაედასტურებინათ რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს არ აქვს აღნიშნული ტიპის პროგრამა და მისი პროგრამა მიმართულია PR-ისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ აქვს სამივე საფეხურის პროგრამა, რომლებიც არანაირ კავშირში არ არის PR-თან.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დაადასტურა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ციფრული კომუნიკაციების პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო ციფრული მედიის პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო სახელში ზუსტი დამთხვევა შესაძლებელი იყო დადარება.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში არის მასობრივი კომუნიკაციის სახელით.

პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესდა აკეთებენ თუ არა აქცენტს ციფრულ მედიაზე.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ეს ორი პროგრამა ძალიან გავს ერთმანეთს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მასობრივი კომუნიკაციის პროგრამები სხვა ქართულ უნივერსიტეტებშიც არის. თუმცა მათი პროგრამის სპეციფიკა ისაა, რომ აქცენტს აკეთებენ ციფრულ მედიაზე, ამერიკის საელჩოს მედია განათლების პროექტის დაფინანსება მიიღო და მისი მიზანია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ციფრული მედია განათლების გაღრმავება არსებულ კურიკულუმებში დამატება და საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების შექმნა, აღნიშნული უნივერისტეტი იყო პირველი, 2019 წელს, როდესაც წავიდნენ ჩიკაგოში და დაიწყეს მუშაობა აღნიშნულ პროექტზე, მას შემდეგ აკეთებს თსუ-ც ჩიკაგოს სხვა უნივერსიტეტთან ერთად, წელს კი სხვა ჯგუფიც იმყოფებოდა, მედია განათლების პროგრამა გრძელდება, რომლის მიზანია ციფრული მედიის დანერგვა საგანმანათლებლო სივრცეში.

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ, განაცხადა, რომ ესაუბრა დეკანს და მან განაცხადა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში არის „ციფრული მედიის“ პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ იცოდა სახელი შეეცვალა, მისთვის გასაგებია, რომ განსახილველი უნივერსიტეტი არის პირველი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არ იჩემებდა პირველობას, რადგან საბაკალავრო დონე უკვე მეორე წელია ხორციელდება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, დაწესებულებას შეახსენა მის მიერ დასმული კითხვა, შრომის ბაზრის კვლევასა და წინაპირობებთან დაკავშირებით.
სხდომის თავმჯდომარემ ასევე შეახსენა დაწესებულებას საბჭოს წევრის, თეონა მატარაძის მიერ დასმული კითხვა აკადემიურ წერასთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა, დალი ოსეფაშვილმა, განაცხადა, რომ კვლევის მეთოდებში გარკვეულწილად ინტეგრირებულია აკადემიური წერის კომპონენტები და არამხოლოდ ამ, არამედ სხვა კურსებშიც, როგორიც არის რეფერატი, კრიტიკა და კვლევითი ნაშრომი. მეორე და მეათე კვირაში იკვეთება აკადემიური წერის კომპონენტები. უბრალოდ ამ კურსში მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდები ისედაც საკმაოდ დატვირთული კურსია, რადგან აქ ისწავლება რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის მეთოდები და რამდენიმე სალექციო კვირის გამოყოფა აკადემიური წერისთვის კიდევ უფრო დაამძიმებს სილაბუსს. მისი მოსაზრებით ელემენტები, რომლებიც წარმოდგენილია იფარება. შეფასების ფორმებთან დაკავშირებით მან განაცადა, რომ ეს არის ელექტრონული გამოკითხვის მეთოდით ჩატარებული კვლევა და ამ კვლევის პრეზენტაცია. რაც შეეხება მეორე შეფასებას არ არის მხოლოდ კოდირების ტექნიკა, პროექტი არის კონტენტ-ანალიზი მეთოდით წარმოდგენილი კვლევითი პროექტი და ფასდება.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, განაცხადა, რომ მეორე და მეათე კვირებში წარმოდგენილია კვლევის ეთიკა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაძინა, რომ ეს აკადემიური წერის შემადგენელი ნაწილია.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, განმარტა, რომ აკადემიური წერის ნაწილად ნაკლებად მოიაზრება, მან იგულისხმა, რომ მისი აქცენტი იყო იმ საკითხზე, რომ არ იყო ყურადღება გამახვილებული ნაშრომის შექმნაზე, არც მეორე და არც მეათე კვირაში, ამასთანავე პირველ დავალებაში ფასდება პრეზენტაცია, მეორეში კი კოდირების კითხვარის შედგენა კონტენტ-ანალიზისთვის, იქ არის ლიტერატურის მიმოხილვა და ა.შ. მაგრამ არ ფასდება მთლიანი ნაშრომი, რაც გადაფარავდა აკადემიურ წერას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, დალი ოსეფაშვილმა, განაცხადა, რომ ფასდება როგორც კვლევითი პროექტი, ფასდება ჰიპოთეზა, კვლევითი კითხვები, წარმოდგენილია კონტენტ-ანალიზი და სხვა, 25 ქულიანი კვლევითი პროექტია, რაც არ გულისხმობს მხოლოდ ანკეტის შეფასებას.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ 25 ქულა აბსოლუტურად საკმარისია კვლევითი პროექტის შესაფასებლად, მაგრამ კრიტერიუმებში უკეთესი იქნებოდა ნაშრომის კომპონენტები მეტად გამოჩენილიყო.
პროგრამის ხელმძღვანელის თქმით შესაძლებელია მეტად ჩაშლა, თუმცა არ უფიქრიათ იმაზე, რომ სამაგისტრო დონეზე იქნებოდა საჭირო.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს იყო წინასწარი კვლევა, 14 დამსაქმებელი გამოიკითხა, ჩატარდა თვისებრივი კვლევა და მიმართა წამყვან მედია ორგანიზაციებს, შესაბამისად მისი მოსაზრებით სრულიად საკმარისია. წარდგენილი იყო მეორე კვლევაც, პირველი იყო წინასწარი კვლევა, რათა გაეთვალისწინებინათ რა მოლოდინები ჰქონდათ დამსაქმებლებს ციფრული მედიის სპეციალისტებისგან, შემდეგ პროგრამის სამუშაო ვერსია, რომელიც ორჯერ გაიარა რიშელ როჯერსმა, კიდევ ერთხელ გააცნეს დამსაქმებლებს, კიდევ კითხეს და გაითვალისწინეს მათი რეკომენდაცია, ასევე მათი რეკომენდაცია იყო სტაჟირების კურსის დამატება, რაც ასევე დაამატეს, ასევე სავალდებულო კომპონენტად დაამატეს ციფრული ამბის თხრობის 2 კურსი, რაც შეეხება კვლევისთვის გამოყოფილ 200 ლარს, ეს პირობითი ბიუჯეტი მხოლოდ ერთი წლისაა და ვინაიდან, მაგისტრანტები კვლევას პირველ წელს არ ატარებენ, თანხა, რაც მითითებულია შესაძლებელია გამოყოფილი ყოფილიყო სხვა აქტივობისთვის, სტუდენტური კონფერენციისთვის ან სხვა მსგავსი ღონისძიებისთვის, მაგრამ 200 ლარი კვლევას არ ეყოფა.
სტრატეგიული კომუნიკაციის კურსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ლექტორი არ ესწრება სხდომას და ამიტომ მას გაუჭირდებოდა პასუხის გაცემა, ვინაიდან საბჭოს წევრი ფიქრობს, რომ სტუდენტს შესაძლებელია გაუჭირდეს ამ კურსის დაძლევა, თუკი იქნება ასეთი რეკომენდაცია დაწესებულება შესაძლებელია საერთოდ შეელიოს მას.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ საუბარი იყო, როგორც წინაპირობაზე, ასევე საფეხურისთვის შეუსაბამო ლიტერატურაზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განმარტა, რომ კურიკულუმს გარე აქტივობა იქნებოდა უკეთესი, თუ მოინდომებს ისწავლის გადაჭრის გზა არ არის.
პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა საბჭოს წევრი კურიკულუმს გარე აქტივობაში.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ვისაც ნასწავლი აქვს სტრატეგიული მენეჯმენტი და მარკეტინგის საფუძვლები მას არ სჭირდება წინაპირობა იმ ორ საგანზე, რადგან დაძლევს, მაგრამ თუკი მოვა სტუდენტი, რომელსაც არ აქვს გავლილი, იმისთვის რომ რთული არ იყოს შესთავაზებენ კურიკულუმს გარე აქტივობას, ეს დახმარება იქნება ინსტიტუციონალური და უფრო მარტივი იქნება მისი აღმოჩენა.
სხდომის თავმჯდომარემ შეახსენა საბჭოს წევრის, გაიოზ ფარცხალაძის მიერ დასმული კითხვა.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მოსაზრებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან კარგი შეთავაზებაა, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს თავისუფალი კრედიტები და ამ კრედიტების ფარგლებში გამოიყოფენ, სხვა სამაგისტრო პროგრამებშიც აქვთ ასე, რომ პროგრამის განხორციელების თავისებურებებში აღნიშნავენ სტუდენტებისთვის შეთავაზებას.
პროგრამის ხელმძღვანელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრის, გაიოზ ფარცხალაძის, მოსაზრებას, რადგან პროგრამაში გათვალისწინებულია ვებ პროგრამირება 1 და 2, პირველი დონე შედარებით მარტივია და არანაირი წინაპირობა არ სჭირდება.
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძემ დასძინა, რომ ასევე აქვთ „ქსელის მუშაობის პრინციპები“, მან გადახედა სილაბუსს და მათემატიკის გარეშე ვერ ასწავლიან.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კურსის ხელმძღვანელს სპეციალურად აქვს აღნიშნული სილაბუსი შემუშავებული იმ ადამიანებისთვის, ამ კურსებს მიხეილ რუხაია კითხულობს ინფორმატიკის პროგრამაზე, სადაც უფრო რთულია, ამ შემთხვევაში კი, აღნიშნული პროგრამისთვის მოამზადა კურსები ისე, რომ არ ჰქონოდა არანაირი წინაპირობა, შესაბამისად ლექტორმა ისე მოამზადა კურსი. ვებ პროგრამირების კურსები არ არის გათვალისწინებული ლოიოლას უნივერსიტეტის პროგრამაში თავისი ინიციატივით დაამატეს, რაც მოუწონა რიშელ როჯერსმაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს კურსები მის პროგრამაში არ იკითხება, რადგან სტუდენტები ვებ პროგრამირებას სკოლებშივე სწავლობენ და უნივერსიტეტში, მითუმეტეს სამაგისტრო საფეხურზე ამის სწავლების საჭიროება არ არის, ამიტომ რიშელ როჯერსის თხოვნით შეიტანეს, რადგან ვებ პროექტებს ამის გარეშე ვერ მოამზადებენ.
„საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დასძინა, რომ ასევე აქვთ სასწავლო კურსი „ქსელის მუშაობის პრინციპები“, მან გადახედა სილაბუსს და დაასკვნა, რომ, მისი აზრით მათემატიკის გარეშე მისი შესწავლა გაუძნელდებათ სტუდენტებს“.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სილაბუსის ავტორმა ისე მოამზადა სილაბუსი, რომ არ დასჭირვებოდა წინაპირობა.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ ამ დილემის წინაშე თსუ-ც იდგა, მათაც სურდათ აღნიშნული სასწავლო კურსის ჩადება პროგრამაში, მაგრამ, როდესაც გაიარეს IT სპეციალისტებთან, საკმაოდ დატვირთულია ტექნიკური კომპონენტი, რასაც სჭირდება მათემატიკური ცოდნა და ისმის კითხვა თუ რამდენად დაძლევენ ჟურნალისტები. სხვადასხვა სპეციალისტებმა აბსოლუტურად იგივე უთხრეს, ამიტომ წავიდნენ შემოქმედებითობის კუთხით, ასწავლიან იმ მინიმუმს რასაც დაძლევს სტუდენტი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პითონი არჩევით კურსად აქვთ პროგრამაში.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, დასძინა, რომ აქ არის სასწავლო კურსი „ალბათობა და სტატისტიკა“,

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ სწორედ ამას გულისხმობდა, ვებ პროგრამირება მათაც უდევთ, თუმცა მარტივი, თუ ამას დაძლევენ წარმატებები უსურვა, მაგრამ დაიტოვა ეჭვის გამოთქმის უფლება.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, დაინტერესდა თუ რაში შეიძლება გამოიყენოს ვებ პროგრამირება, რადგან მისი მოსაზრებით ჟურნალისტის მიერ შეიძლება მხოლოდ ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსება. ამიტომ მას შეუძლია მათემატიკის გარეშე ამის გაკეთება, მისთვის არ არის აუცილებელი ვებ გვერდის შექმნა, იქაც ვიზუალური პროგრამირების საშუალებებია.
პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, გარდა იმისა, რომ უნდა შეეძლოთ ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსება, მულტიმედია ჟურნალისტიკა, ასევე გულისხმობს, რომ უნდა შეეძლოთ ვებ პროექტი.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დასძინა, რომ ვებ პროექტები ძალიან ზოგადი ფრაზაა, თუ ეს არის საინფორმაციო საშუალების, მაშინ მზა ალგორითმებს იყენებენ, თუ საუბარია მაგალითად ონლაინ მაღაზიის პროგრამის დაწერაზე მათემატიკის ცოდნა ნამდვილად დასჭირდებათ..
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ არ არის საუბარი მაღაზიის პროგრამის დაწერაზე.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ ამ შემთხვევაში არ სჭირდებათ მათემატიკა.
მოწვეულმა ლექტორმა, ალექსანდრე ქეშელაშვილმა, განაცხადა, რომ ერთი მხრივ ჟურნალისტების მიერ ვებ გვერდზე მუშაობაში არ იგულისხმება მხოლოდ ტექსტური სახით რაღაცის განთავსება და ასევე არ მოეთხოვებათ ვებ გვერდის აწყობა, შესაძლებელია ეს იყოს მულტიმედია პროექტები, რომლებიც შეიძლება გააკეთონ სპეციალისტთან ერთად ან დამოუკიდებლად, ამიტომ მათ სჭირდებათ გარკვეული დამატებითი ცოდნა, რომელიც ურჩიეს ამერიკელმა კოლეგებმა, რომ სასურველია ჰქონდეთ გარკვეული უნარები, სხვადასხვა გამოწვევების დასაძლევად, ჩაშენებული ვიზუალიზაცია თუ სხვა, ამ შემთხვევაში სოციალური მედიის ანალიტიკური რაიმეს ატვირთვა ვებ გვერდზე, შესაძლებელია დასჭირდეთ პროგრამირების გარკვეული უნარები, მაგრამ არ იგულისხმება რთული ვებ გვერდების შექმნა დამოუკიდებლად.
აფილირებულმა პროფესორმა, მაგდა მემანიშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს პროგრამის დაწვრილებით განხილვისათვის. კითხვაზე თუ რაში უნდა გამოიყენოს ჟურნალისტმა ვებ პროგრამირება და მისი საწყისი უნარები, როდესაც იყვნენ ჩიკაგოში, იქ ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი იყო შემდეგი, ჩიკაგოში ძალიან განიცდიან განაშენიანების პრობლემასა და უკანონო მშენებლობებს, ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა ჯგუფმა შექმნა აპლიკაცია, ვებ პროგრამისტებთან ერთად, ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს, ვისაც აინტერესებდა მის უბანში რაიმე ახალი პროექტი ხომ არ დაკანონდა და მშენებლობას ხომ არ მისცა მერიამ ნებართვა ამ პროგრამის დაინსტალირების შემდეგ მისდის ნოთიფიქეიშენი, რომ მის უბანში შენდება ახალი შენობა, ეს არის მედია პროდუქტი, ეს არ არის წაკითხული სიახლე, პროგრამას სურს მოამზადოს ამ ტიპის სპეციალისტები, რომლებიც გარდა ჟურნალისტური უნარებით აღჭურვისა ვებ პროგრამირების ანბანსაც ფლობენ, თუმცა ამ დონის პროგრამას ჟურნალისტი ვერ გააკეთებს, მაგრამ წაადგება მედია სპეციალისტს.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ ვებ პროგრამირების როლი ძალიან კარგად იცის და თავდაც ხშირად იყენებს პროგრამირებას. და ამიტომ ჰგონია, რომ პროგრამა ძირითადად საინფორმაციო საშუალებებზე უნდა იყოს მორგებული. როდესაც საბურავების შეცვლა იცის ადამიანმა უფრო კარგი მძღოლია, მაგრამ შეიძლება ამის ცოდნის გარეშეც მართოს მანქანა. თუმცა ამერიკული ანალოგის მაგალითზე უნდა ასწავლონ არა მარტო მათემატიკა, არამედ რთული პროგრამირება, ის პროგრამა არ არის მედია კომუნიკაციის პროგრამა, ეს არის მედია ელემენტების გამოყენებით, მაგრამ ვებ პროგრამირება, რომლისკენაც პროგრამა ვერ წავა, რადგან ადამიანური რესურსი არ ეყოფათ.
აფილირებულმა პროფესორმა, მაგდა მემანიშვილმა, განაცხადა, რომ არ ამზადებენ ვებ პროგრამირების სპეციალისტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:55
დასრულების დრო: 17:59

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტის 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამან არ გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედია და კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნებიდან და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე რეკომენდირებულია არჩევითი საგნები სტრატეგიული კომუნიკაციები და სოციალური მედია, სტრატეგია და კამპანიები გახდეს სავალდებულო;
2. **რეკომენდირებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის მიზნების გათვალისწინებით მკაფიოდ გამოიკვეთოს და დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგები;**
3. **რეკომენდირებულია ციფრული მედიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამაში სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიების სწავლება განხორციელდეს სავალდებულო სახით, რაც უზრუნველყოფს სავალდებულო სასწავლო კურსის „სოციალური მედიის ანალიტიკა“ დაძლევას;**
4. **რეკომენდირებულია კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა მეტწილად განახლდეს და გამრავალფეროვნდეს;**
5. **რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და გაზომვადი სახით;**
6. **რეკომენდირებულია მოხდეს სტაჟირების ფარგლებში სტუდენტთა დატვირთვის, აქტივობების და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება და მეტი კონკრეტიზაცია, ისევე, როგორც აუცილებლად უნდა განისაზღვროს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები;**
7. **მნიშვნელოვანია სილაბუსებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცალკეული შეფასების კომპონენტების შინაარსი და კრიტერიუმები;**
8. **მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში განმარტებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის შემოსავლებით, მაინც რეკომენდაციის სახით,მიზანშეწონილია ბიუჯეტში დაკორექტირდეს და ცხადი გახდეს კვლევით საქმიანობისთვის განსაზღვრული დამატებითი თანხა.**

რჩევები:

1. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
2. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და შემუშავდეს სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა და კრიტერიუმები;**
3. სასწავლო კურსებში სტრატეგიული კომუნიკაცია და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები დაზუსტდეს წინაპირობები ან მაგისტრანტებს შესთავაზონ რელევანტური წინაპირობა კურკულუმს გარეაქტივობაში;

3. სასურველია სასწავლო კურსის „ქსელის მუშაობის პრინციპები“ სტატუსი დაზუსტდეს და განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები;
4. რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით;
5. დაკორექტირდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2) დადგენილების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქციის შესახებ მე-4 თავის მე-2 მუხლის პირველ, მე-3 პუნქტები და მოვიდეს თავსებადობაში საკანონმდებლო ნორმებთან;
6. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია გაანალიზდეს ანალოგური და მონათესავე პროგრამები.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედია და კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, პაატა სააკაძის №1, 0102
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაგდა ცინცაძემ, განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 30 ივნისს ონლაინ რეჟიმში ზუმ-პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ფიზიკური ვიზიტის მეშვეობით კი ჯგუფის ხელმძღვანელის და ცენტრის წარმომადგენლის შემადგენლობით - 1 ივლისს შედგა. განხორციელდა უნივერსიტეტის შენობის - სადაც ხორციელდება პროგრამა, კომპიუტერული ლაბორატორიების, აუდიტორიებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

● საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება პირველ სტანდარტს. მიზნები ქართულ და ინგლისურ ენაზე არ ემთხვევა ერთმანეთს. ინგლისურენოვანი ვერსიის მიზანის აღწერის პირველ პუნქტში არ არის მითითებული თუ რომელ სფეროში მიიღებს კურსდამთავრებული ცოდნას, მეორე პუნქტში მითითებულია „კომპიუტერული მეცნიერება“, ხოლო მესამეში

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“. ამდენად პროგრამის მიზნები ცხადად არ ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რომელ სფეროს განვითარებაში შეაქვს მას წვლილი;

● საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება მეორე სტანდარტს, ვინაიდან სრულად შეესაბამება 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტს, მეტწილად შეესაბამება 2.1, 2.2 კომპონენტს, ხოლო ნაწილობრივ შეესაბამება 2.3 კომპონენტს. საჭიროა კვალიფიკაციის შესაბამისი საკითხების პროგრამაში ინტეგრაცია, რიგი საგნებისათვის როგორც წინაპირობების ცვლილება აგრეთვე მიზან შედეგობრივი კავშირისა და შიგთავსის დაკორექტირება, 2.1 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება, რადგან კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. საგნობრივ გამოცდებზე დამატებითი ბარიერები არაა დაწესებული, თუმცა სავალდებულოა ინგლისური ენის ჩაბარება. ინგლისური ენის ბარიერის გადალახვა ეროვნულ გამოცდებზე არ ნიშნავს ენის ცოდნას იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ინგლისურ ენაზე სწავლა. ამიტომ აუცილებელია B2 დონის შესაბამისი ბარიერის მოთხოვნა. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში არაა განსაზღვრული დამატებითი გამოცდა მათემატიკაში. სასურველია, იმ აბიტურიენტებს, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მიიღება პროგრამაზე, ჩაუტარდეთ გამოცდა ან გასაუბრება მათემატიკაში პროგრამისთვის საჭირო დონის დადგენის მიზნით.

2.2 კომპონენტი ასევე მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რადგან კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ უსდ-მ აღნიშნა, რომ კრედიტების დაანგარიშებაში გაპარულია ტექნიკური შეცდომა, რომელიც გასწორდება ისე, რომ ჯამური 240 კრედიტი გამოვიდეს. ასევე საუბარია პრერეკვიზიტების პრობლემაზე, შემდეგ სასწავლო კურსებში: „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 1“, „კომპიუტერული უსაფრთხოება“, „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „ოპერაციული სისტემები“, „პროგრამული პროდუქტის წარმოება II“, „მანქანური დასწავლა“, „სისტემური ადმინისტრირება 1“, პროგრამაში ასევე არის კვალიფიკაციისა და შიგთავსის შესაბამისობის პრობლემა, პროგრამაში არ არის წარმოდგენილი კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტურ საკითხები, ფორმალიზმებს, გრამატიკებს, ენის სინტაქსურ და სემანტიკურ ანალიზს. მოცემულ პროგრამაში ისწავლება “პროგრამირების პარადიგმები”.

● საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება მესამე სტანდარტს, ვინაიდან პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში, თუმცა არ ითვალისწინებს თითოეული კურსის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისის არსებობას;

● საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება მეოთხე სტანდარტს, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას, თუმცა მეტწილად შეესაბამება 4.1 კომპონენტს, ვინაიდან დარგის ძირითადი აკადემიური პერსონალის რაოდენობა მცირეა, რაც პროგრამის მდგრადობას უქმნის საფრთხეს;

● საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება მეხუთე სტანდარტს, ვინაიდან სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებს, მასში დაგეგმილია პერიოდული მონიტორინგი და პროგრამის შეფასება, ისევე როგორც შეგროვებული რელევანტური ანალიზის საფუძველზე შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ განაცხადა, რომ პროგრამა არის ახალი და ინგლისურენოვანი, თუმცა 90%-ით იდენტურია, რაც არის იგივე ქართულენოვანი პროგრამა, რომელმაც მონიტორინგის შედეგად მაღალი შეფასება მიიღო და შეწყდა წარმოება. მიზნის შესახებ განმარტა, რომ დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა დანარჩენი ყველაფერი იგივეა, საგნებიც კი, თავიდან პროექტში ჩასმული იყო 18 რეკომენდაცია, რომლიდანაც დაწესებულების პასუხის შემდეგ დარჩა 15. დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაცია 8 და 15, ფაქტობრივად არ დაეთანხმნენ რეკომენდაცია 7-ს, საუბარი იყო 9 საგანზე, რომელთაგან მხოლოდ 2-ზე დაეთანხმნენ, „მანქანური დასწავლა“, „სისტემური ადმინისტრირება 1“.

პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, აბრივიატურაში შეეშალათ და ჩაწერეს IT, CS-ის მაგივრად, რაც სხვადასხვანაირად ითარგმნება.

ინგლისური ენის შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, თუმცა მომავალში ასევე შესაძლოა ერთიანი ეროვნული გამოცდებით საქართველო მოქალაქეების ჩარიცხვაც. პროგრამაში მითითებულია B2 დონე, რაც ასევე გულისხმობს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვისაც B2 დონე იქნება უზრუნველყოფილი პროგრამის შესაბამისი კომპონენტების შეთავაზებით სწავლების პირველივე სემესტრიდან, მათთვის ვინც ამას საჭიროებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა არ ითვალისწინებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის შემოწმებას. თუკი პროგრამაში აღმოჩნდება სტუდენტი, რომელმაც არ იცის ინგლისური B2 დონეზე, არის შესაბამისი არჩევითი საგანი, რომელიც დაეხმარება აღნიშნული დონის დაძლევაში.

კრედიტების რაოდენობის შესახებ, მან აღნიშნა, რომ შეცდომა იყო ორ რიცხვში, ჩამონათვალში უნდა ყოფილიყო 140 და 42 და იყო სხვა რიცხვები, შესაბამისად არც 240 კრედიტი არ გამოდიოდა, კურიკულუმში კი 240 კრედიტი იყო.

დაწესებულება კატეგორიულად არ დაეთანხმა 2.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციებს, გაიზიარა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია „მონაცემთა ანალიზის“ შესახებ, რომლის გამოც თვლიან, რომ შესაძლებელია ყოფილიყო მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან და არა ნაწილობრივი. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს ქართულენოვან პროგრამაზეც ასე იყო და დიდიხანია მუშაობს ინფორმატიკის პროგრამა, რომელიც შემდეგ ინფორმატიკის პროგრამად გადაკეთდა და საგნების 85% იგივეა, თუმცა არანაირი პრობლემა არ ყოფილა მათთან დაკავშირებით, რამდენიმე საგანთან დაკავშირებით, მაგ., „კომპიუტერული ტექნოლოგიები 3-თან“ დაკავშირებით ჰქონდათ შემთხვევა როდესაც საჭიროებამ დაანახა საათების მომატების აუცილებლობა და 30 საათის ნაცვლად გახადეს 36 საათი, ასე მოხდა რამდენიმე საგანზე, თუმცა ახლა რა საათებიც არის გაწერილი სრულიად საკმარისია, მეთოდოლოგია აქვთ ასეთი, რომ ძირითად აქცენტს აკეთებენ დამოუკიდებელ მუშაობაზე, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ისეთი ტიპის სამუშაოები აქვთ, როდესაც სტუდენტებს ასწავლიან დამოუკიდებლად სწავლას, პროექტების დამოუკიდებლად კეთებას და შეიძლება ზოგ შემთხვევაში გამოიკვეთოს საჭიროება, ყოველ სემესტრულად ხდება ამის გადახედვა, თუ ამის საჭიროება დადგება ნამდვილად შეცვლიან, ამ შემთხვევაში კი ყველაფერი რიგზეა, ბოლო წელიწადნახევარია ძალიან კარგად მუშაობს აღნიშნული საგნები და გადის შედეგებზე, შესაბამისად არანაირი პრობლემა არ აქვთ.

პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, განაცხადა, რომ დაწესებულება არ იზიარებს შედეგებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, რადგან გაწერილია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის შედეგი, რომელზეც იყო საუბარი, იყო ბოლო შედეგი ინფორმატიკის მიმართულებით საუბარია ეთიკაზე ტექნოლოგიის მიმართულებით და პასუხშიც მოისმინეს, რომ ამ აუთქამებით ისარგებლე ცნობილი უნივერსიტეტებია წარმოდგენილი, შესაძლებელია შემდეგ აღნიშნული ცნობილი უნივერსიტეტების აუთქამები დაათვალიერონ, შესაბამისად ნახავენ, რომ კომპიუტინგის მიმართულების ეთიკაზეა საუბარი და არა ტექნოლოგიის.
პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, განმარტა, რომ გამოიყენეს საერთაშორისო პრაქტიკა, წამყვანი უნივერსიტეტების, ნახეს და შეადარეს, MIT, Stafford და სხვა, გაითვალისწინეს ბაზრის მოთხოვნა და მისი მოსაზრებით არის მკაფიო და გაზომვადი შედეგები.
კომპიუტერული ენების თეორიის დამატების შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა მოიცავს დარგისათვის მნიშნველოვან პროგრამირების ენების თეორიულ საკითხებს. სასწავლო კურსში „პროგრამირების პარადიგმები“ იფარება თეორიული ასპექტები, თუმცა კომპილატორების თემატიკის ნაწილში მისაღები რჩევაა.
წინაპირობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 1“-ის შემავალი საკითხების უმეტესობა (ფენვიკის ხე, Sqrt- დეკომპოზიცია, DSU-ს ალგორითმი, ბალანსირების მეთოდები, ხარბი ალგორითმები, დინამიური პროგრამირება და ა.შ.) არ უკავშირდება დისკრეტული მათემატიკის საკითხებს. ერთადერთი თემა, რომელიც თანაიკვეთება, არის გრაფთა თეორია, თუმცა ამ შემთხვევაში საჭირო მომენტები განიმარტება ალგორითმების ახსნის პარალელურად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა საჭიროებდა თუ არა დინამიური პროგრამირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როგორც ლექტორმა თქვა ყველა სასწავლო კურსი გაიარეს და მხოლოდ ზემოაღნიშნულს სჭირდებოდა. ფარავს აღნიშნულ საკითხს და შემდეგ გადადის ალგორითმებზე.
მისი თქმით, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „მონაცემთა ბაზების სისტემების შესავალი“, „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „ოპერაციული სისტემები“ ეს არის საწყისი სასწავლო კურსები, რომლებსაც თუ წინაპირობა გაეწერება იმ მიზეზით, რომ მეორე კურსზე ჰქონდეს წინაპირობა ეს სხვა საკითხია, მაგრამ არცერთ თემატიკას არ სჭირდება პრერეკვიზიტი. რაც შეეხება სასწავლო კურსს „კომპიუტერული უსაფრთხოება“, ეს არის შესავალი კიბერ უსაფრთხოებაში, შესავალი საგანი, რომელსაც არანაირად არ სჭირდება პრერეკვიზიტი.
„პროგრამული პროდუქტის წარმოება II-ის“ შესახებ მან განმარტა, რომ ესაუბრა ლექტორებს, მათ კატეგორიულად თქვეს, რომ საგანი არის მრავალფეროვანი და კონკრეტულად ისე, როგორც კითხულობენ და როგორც წერია სილაბუსში, მას არცერთი ეს პრერეკვიზიტი არ სჭირდება.
„მანქანური დასწავლის“ შესახებ აღნიშნა, რომ სჭირდება პრერეკვიზიტი, რაც ეხება სისტემურ ადმინისტრირებას „ოპერაციული სისტემები“ უნდა იყოს და უკვე დაამატეს.
ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ, კონსულტაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტუდენტებთან კონსულტაციის საათები გათვალისწინებულია როგორც სილაბუსებში, ასევე შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებში. სემესტრულად დგინდება შესაბამისი განრიგი, რომელიც ცნობილია სტუდენტებისთვის და საჭიროებისამებრ იყენებენ.
აუთქამების შესახებ მან აღნიშნა, რომ რადგან ღირებულებებზე და ზოგად შედეგებზეა საუბარი ტექნოლოგიები ნახსენებია, როგორც ვიწრო სპეციალობა და კომპიუტერული ტექნოლოგიები, თუ ეს იქნებოდა სპეციალიზებულ შედეგებზე მართალი იქნებოდა, მაგრამ საუბარია ზოგადად ტექნოლოგიებზე და შესაძლებელია დაწესებულებამ მაქსიმუმ რჩევად გაითვალისწინოს, რათა სხვასაც არ გაუჩნდეს მსგავსი კითხვები.

როდესაც პროგრამა დაიდო, მიზანში შეცდომისა და ლექტორების 90%-ის გარდა ყველაფერი ერთიდაიგივეა, შესაძლებელია ცოტა უხერხული იყოს, მაგრამ ყველა ექსპერტს თავისი მიდგომა აქვს, თუმცა ამხელა განსხვავება უცნაური და მოულოდნელია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეკონკრეტებინა, რომ ის პროგრამა იყო ტექნოლოგიების პროგრამა.
ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განმარტა, რომ ექსპერტი გულისხმობდა 2 წლის წინანდელ პროგრამას, რომელსაც მოდიფიკაცია გაუკეთდა და 2 კვირის წინ მიიღო აკრედიტაცია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ, განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამის ანალოგიური, ქართულენოვანი პროგრამა მათ ნახეს, რომელსაც ნამდვილად გავს და ექსპერტთა ჯგუფსაც უწერია, რომ დაფუძნებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, ზემოაღნიშნული სიტყვები მაშინაც იყო გაპარული, ესეც შესაძლებელია იმის გამოძახილია, რომ მიზანსა და შედეგებში ინფორმაციული ტექნოლოგიები ისეა, რომ ჩამოთვლილია და ერთ-ერთი ტექნოლოგიებია, მისთვის შინაარსი იკითხება და არ თვლის, რომ შინაარსს ვერ გამოხატავს, თუმცა გარკვეული კითხვები მაშინაც იყო და ახლაც, რომელთა ნაწილიც ექსპერტთა ჯგუფმა დასვა, მაგ., საათების ნაკლებობა, მისი შეხედულებით, არა მხოლოდ ამას, არამედ სხვა პროგრამებსაც აქვს აღნიშნული პრობლემა, თავიდან იმ მიდგომით რაზეც საუბრობენ, პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას მიუდგნენ, თუმცა გაცილებით ფართოდ აწოდებენ ინფორმაციას, საათებიც შემცირებული და გაფართოებული მასალა, რაზეც შეიძლება გაჩნდეს კითხვა ხომ არ ირღვევა ბალანსი, სტუდენტები ამას ნაკლებად ძლევენ, შესაბამისად კითხვებს აჩენს, ბევრი საგანი მისასალმებელია, ამიტომ იწვევს ხოლმე ეჭვს, რამდენად შეიძლება ჩაეტიოს.
იგი დაინტერესდა ეთანხმება თუ არა ექსპერტთა ჯგუფი კომპილატორების დამატებას, თუმცა უცხოებზეა გათვლილი და მისთვის წარმოუდგენელია საქართველოში მუშაობდეს ვინმე ამ მიმართულებით, მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები რჩევებისა და რეკომენდაციების ზღვარზეა, იგივე „წრფივ ალგებრასთან“ დაკავშირებით, შესაძლებელია არ იყოს საჭირო ერთ საგნად გამოყოფა. საბაზისო კურსები როგორ დალაგდება იმის მიხედვით შეიძლება არქიტექტურა იყოს წინ ან ოპერაციული სისტემები, შესაბამისად ერთი მეორეს პრერეკვიზიტად ჩაითვლება, სხვადასხვა უნივერსიტეტში სხვადასხვანაირადაა. სხვა დანარჩენი ექსპერტებს ძალიან დაწვრილებით აქვთ შესწავლილი და მისი მოსაზრებით უნივერსიტეტიც დარწმუნდებოდა, რომ მათი რეკომენდაციების ნაწილი სასარგებლო აღმოჩნდა უნივერსიტეტისთვის.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ დეტალურად გაეცნო დოკუმენტებს და კარგია ის ფაქტი, რომ განიხილეს Jobs.ge და 74%-მა კონკრეტული რაღაც თქვა, მაგრამ სთხოვა დაეკონკრეტებინათ თუ რამდენი გამოკითხეს, რადგან ასე პროცენტებით საუბარი რთულია, საერთოს ეს დოკუმენტი ცოტა უფრო უკეთ გაფორმებული უნდა იყოს, რადგან არავინ არ დაობს საკითხზე, რომ კომპიუტერული მეცნიერებები მოთხოვნადია, შრომის ბაზრის ანალიზი არის არა ის, თუ რამდენია ვაკანსია, არამედ ამ წამს, ამ მომენტში ამ ბაზარზე რა მოთხოვნებია, თუ უცხოელ სტუდენტებზე გადიან ვინ არიან ეს სტუდენტები, ჩამოვლენ განათლებას მიიღებენ, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდებიან თუ მესამე ქვეყანაში წავლენ, ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო გაანალიზებული და მითუმეტეს ისეთი დაწესებულება, როგორიც კავკასიის უნივერსიტეტია ეს არ უჭირს, რაც ბიუჯეტსაც ეტყობა, სადაც ყველაფერი რელევანტურია და კარგადაა გაწერილი. ასევე, იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ დაწესებულებას აქვს „IT პროექტის მართვა“, რაც არის ჩვეულებრივი პროექტის მართვა IT რატომ წერია წინ დაწესებულების წარმომადგენლების გადასაწყვეტია, და მშვენიერი კურსია, ასევე აქვთ „ციფრული მარკეტინგი“, ორივე მათგანი არჩევითი კურსია და სტუდენტებს მიეწოდებათ წინაპირობის გარეშე, შესაძლებელია მივიდეს ადამიანი, რომელსაც არაფერი აქვს ნასწავლი ბიზნეს ადმინისტრირებაში, როგორც წესი პროექტების მართვას რომ მისცემენ ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტს წინასწარ სამი კურსი უნდა ჰქონდეს დაძლეული, ციფრულ მარკეტინგზე კი მინიმუმ ერთი, დაინტერესდა დაწესებულება (კავკასიის უნივერსიტეტი)

რომლისთვისაც არანაირი პრობლემა არ იყო წინაპირობა შეეთავაზებინა სტუდენტისთვის, თუ აქ არ გამოდიოდა მაშინ კურიკულუმს გარე აქტივობაში შეეთავაზებინა, ციფრული მარკეტინგი ძალიან კარგი და თანამედროვეა, შესაბამისად მკვეთრად ამაღლებს ადამიანის მოთხოვნადობას.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრი, დავით კაპანაძე, უკვე შეეხო იმ საკითხებს, რომლებზეც მას სურდა საუბარი, პირველი საკითხი ნამდვილად საკონტაქტო საათებია, რომელზეც ექსპერტების აზრის კიდევ ერთხელ დაფიქსირება სურს, საათები მასაც ცოტად ეჩვენება, მაგრამ შესაძლებელია იყოს პრაქტიკა დაწესებულებაში, რომელიც ამართლებს და უნდა არსებობდეს კვლევები, ნახეს თუ არა ექსპერტებმა წინა პროგრამის აკადემიური მოსწრება და აქედან გამომდინარე, ხომ არ შეუძლიათ უფრო მეტი გაიგონ, რადგან ასე რთულია რამის გაგება. იგი ასევე დაინტერესდა „წრფივი ალგებრის“ საკითხით, რომლის შესახებაც თავიდან იყო რეკომენდაცია და შემდეგ დაწესებულების პოზიციიდან გამომდინარე გადავიდა რჩევაში, მისი მოსაზრებით „წრფივი ალგებრის“ პირველი ნაწილი ნამდვილად არის ინტეგრირებული და არის გათვალისწინებული, მაგრამ დასახელებული იყო კონკრეტული საკითხები/თემები, და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინათ პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელი საგნები იყენებს ამ საკითხებს, შესაძლებელია კიდევ სხვა საგანშიც იყოს ინტეგრირებული და თუ არ არის აუცილებლად უნდა გაძლიერდეს. კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც საბჭოს წევრი დარწმუნებულია, რომ სხვა საგნებში იქნება ინტეგრირებული, ალგებრული სტრუქტურების ნაწილი დისკრეტულ მათემატიკაში არ არის და სჭირდება, მაგრამ იქნებ სხვა საგანშია და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ ამ საკითხზე.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა „წრფივი ალგებრასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ გაუჭირდება პასუხის გაცემა, მაგრამ მას აქვთ ცალკე, მათემატიკის კათედრა, რომელსაც ნუგზარ ჩიხრაძე კურირებს და მათმა სპეციალისტები/ლექტორები დასხდნენ და ორივე სპეციფიკიდან გამომდინარე დაუდეს რა ტიპის ცოდნის სტუდენტი სჭირდებოდათ მესამე კურსზე, ფაქტობრივად დაუგეგმეს თუ რა სჭირდებოდათ 2-4 კვირა იმუშავეს და შექმნეს ცალკე, სამეცნიერო კომპიუტინგი, სადაც რამდენიმე თემაა შესული, ასევე ცვლილება შეიტანეს დისკრეტულ მათემატიკაშიც და მათემატიკოსების გუნდისა და პროგრამირების სპეციალისტების საკმაოდ მჭიდრო კომუნიკაციით შედგა რამდენიმე სილაბუსი, მხოლოდ „კალკულუსი 1“ არ აქვთ საერთო ბიზნესსა და პროგრამირებას, დანარჩენი კი მოარგეს ტექნოლოგიების სკოლას საინჟინრო და პროგრამირების მიმართულებით დაიწერა ერთად. რაც შეეხება საათებს არ ამბობს, რომ ხელშეუხებელია, რადგან ქონიათ 25, 36 საათი, ყურადღება გაამახვილა პროცესზე, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლიან ხოლმე, ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებენ გამოკითხვას, ხდება შეხვედრები საბჭოს ფარგლებში და ცალკე პროგრამის ხელმძღვანელი უკავშირდება ლექტორებს, თავიდან იყო საუბარი ლექტორების მხრიდან, რომ სხვაგანაც ასწავლიდნენ და გაუჭირდებოდათ, მაგრამ შემდეგ სტუდენტებსაც ესაუბრნენ და 2 საგანში საპილოტედ სცადეს, შემდეგ კი სადაც საკმარისი არ იყო გაზარდეს, გარდა იმ საგნებისა, სადაც გაზრდა მოუწიათ მართლა არ იყო და ხვალვე გაზრდიან თუ ლექტორები და სტუდენტები ამას მოითხოვენ, შემუშავებული აქვთ მეთოდოლოგია ლექტორებთან და სტუდენტებთან ერთად, რომ ყოველ მეორე კვირაში პატარ-პატარა პროექტებს აკეთებენ.

პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, სთხოვა დაედასტურებინა თუ როგორი იყო შედეგები

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა დაადასტურა, რომ კარგი შედეგები ჰქონდათ, სტატისტიკა შიდა კვლევების, გარდა იმისა, რომ შედეგების შეფასების ახლებური მეთოდი აქვთ, მაინც სხვადასხვა მიდგომებით აკეთებენ, გამოკითხვებით, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრით, ამას ადგენენ და ზომავენ რეალურ შედეგებს, მეორე კურსის სტუდენტი, რომელიც გადავა მესამე კურსზე მანდ გამოჩნდება, აკადემიურ მოსწრებაში, მთავარია სწორად მიუდგნენ და ლექტორმაც ამ მხრივ სიღრმისეულად იმუშავოს სტუდენტებთან.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ეპასუხათ მის კითხვაზე, თუ რომელ საგანში იფარება ალგებრული სტრუქტურები და არის თუ არა განხილული რომელიმე საგნის ფარგლებში.
პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, განაცხადა, რომ გადააბარეს მათემატიკის კათედრას, მათ შეიმუშავეს და არცერთი სტუდენტისა და ლექტორისგან არ ჰქონიათ მითითება, რომ შესაბამისი ბექგრაუნდი ალგებრაში ან რომელიმე მათემატიკურ აპარატში არ აქვთ.
18:30 საათზე საბჭო დატოვა ნინო ჭალაგანიძემ.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე, დაინტერესდა სპეციალობიდან გამომდინარე თუ სჭირდებათ, რადგან ამ ტიპის პროგრამებში ეს საკითხები ისწავლება, მაგრამ შესაძლებელია არ ისწავლებოდეს დისკრეტულ მათემატიკაში და სხვა საგანში იყოს ინტეგრირებული, ეს საკითხები რაზეც ჰქონდათ ექსპერტებს საუბარი. სად არის ინტეგრირებული ალგებრული სტრუქტურები, თუ სჭირდებათ, თუ არ სჭირდებათ არ უნდა ისწავლებოდეს, უბრალოდ გამოცდილებას, რასაც საბჭო ნახულობს ეს თემები იფარება, ამაზეა საუბარი.
პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, განმარტა, რომ, როდესაც რეკომენდაციები დაიწერა დაწესებულების წარმომადგენლები ესაუბრნენ ნუგზარ ჩიხრაძეს, მან კიდევ ერთხელ გაიარა თავის კათედრასთან და თქვა, რომ ყველაფერი იფარება, ეს მათი ნაწილია და ამაზე ვერ გასცემდა ზუსტ პასუხს, მაგრამ რომელ ნაწილში ამაზე პასუხის გაცემა არ შეეძლო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ Data Science-ს, რაც არის ყველას სჭირდება სტრუქტურები, ასევე „მანქანურ სწავლებაში“ ის ბაზისი, რაც მაგალითი მოიყვანეს ძალიან აქტიურად სჭირდებათ ალგებრის ელემენტები, რომელიც ვერ ნახეს, მაგრამ უთხრეს, რომ გადანაწილებული იყო 2 საგანში და გადაიტანეს რჩევაში, და სიტყვაზე ენდნენ, რომ იფარებოდა, ზუსტად აღნიშნა, რომ საუბარი იყო კომპიუტერულ მეცნიერებებზე და მეცნიერებას Data Science, Machine Learning-ი, ეს ის თანამდეროვე ტრენდებია, რომელთა გარეშეც თანამდეროვე კომპიუტერული პროგრამები არ არსებობს, აქედან გამომდინარე, იმ საგანს ალგორითმებს, როდესაც მათემატიკურ ბექგრაუნდს სთხოვენ, რატომ არ აქვს წინაპირობა, როდესაც სთხოვენ დინამიურ დაპროგრამებას, აქ არის მათემატიკა, რადგან ეს არის მინიმიზაციის ამოცანა და შესაბამისად მათემატიკა არ სჭირდება ამას, ძალიან რთული მომენტია. საბჭოს შეუძლია ნახოს ნებისმიერი საგნების პრერეკვიზიტები და ყველგან იპოვის მათემატიკის პრერეკვიზიტებს, თუნდაც იგივე ლიტერატურა, რომელიც მათ აქვთ წარმოდგენილი, იქ არის მათემატიკა წარმოდგენილი, ასევე თუ საათების რაოდენობაზე ისაუბრებენ, დაწესებულების წარმომადგენლებმა თქვეს რომ ამ საკითხზე არავის მიუმართავს, თუმცა ამ საკითხზე სტუდენტებთან საუბრის დროს, როდესაც აჩვენეს სილაბუსი, მათ უთხრეს, რომ მხოლოდ პირველი 8 კვირის მასალა გაიარეს, დანარჩენზე კი დრო არ ეყოთ, საკითხების ფუნდამენტურად დაფარვა ვერ ხდება, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბევრი მასალაა და მას სურდა დაპროგრამების საფუძვლების კონტენტი ეჩვენებინა, რომელიც არის ძალიან რთული ადამიანისთვის, რომელიც პროგრამირების ბექგრაუნდის გარეშე მოდის პროგრამაზე, რადგან იქ საუბარია ანალიზებზე, როგორ უნდა შეადაროს სტუდენტმა ალგორითმები, თუ არ იცის საერთოდ, იგივე სოფტირების ალგორითმები, არ იცის როგორ შეადაროს ალგორითმები ერთმანეთს და რითი ჯობია.
ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განმარტა, რომ ზოგადად გასაგებია, თუმცა მათ პროგრამაზე ჩამბარებელმა სტუდენტებმა ეს ყველაფერი იციან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ სად ჩანს რომ იციან.
ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა დააკონკრეტა, რომ საუბრობდა პროგრამირების საფუძვლებსა და ალგორითმებზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით ხელაღებით იმის თქმა, რომ ყველაფერი იფარება, სწორი არ არის, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან სულ ცდილობენ, რომ იყვნენ კოლეგიალურები და დაეხმარონ ერთმანეთს პროგრამის გაძლიერებაში.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან ეს ყველაფერი კარგად მოქმედებს ხარისხზე, დაწესებულების წარმომადგენლებს გაუჭირდათ კონკრეტულად ეთქვათ თუ სად ისწავლება ალგებრა, რადგან მათემატიკა მათთან 5 სემესტრის განმავლობაში ისწავლება, თუმცა ნუგზარ ჩიხრაძემ დაადასტურა, რომ ნამდვილად ისწავლება, ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, ნაწილობრივ არა, თუმცა შედეგები თავისას ამბობს, პროგრამირების გუნდს ხელმძღვანელობს ზაზა გამეზარდაშვილი, რომელიც არის ინფორმატიკის ნაკრების მწვრთნელი და ფინალში 3-4 სტუდენტი თითქმის ყოველთვის ხვდება, ხანდახან თავისუფალი უნივერსიტეტი ჯობია ხოლმე კავკასიის უნივერსიტეტს, მაგრამ საკმაოდ ძლიერი გუნდი ყავთ პროგრამისტების.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ზაზა გამეზარდაშვილი არ არის სილაბუსის ხელმძღვანელი და არც არის წარმოდგენილი.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განმარტა, რომ პროგრამირების მიმართულებით რამდენიმე ლექტორი ჰყავთ და ამ გუნდს ხელმძღვანელობს ზაზა გამეზარდაშვილი, დასაქმების ბაზარი იქნება თუ რა მიმართულება რა შედეგებს დებენ, ბევრი რჩევის გათვალისწინება მოუწევთ.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს სტანდარტულად პროგრამაზე.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ 500-600 სტუდენტი სწავლობს.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, ჩაეკითხა თუ რამდენია ერთი მიღება.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ ერთი მიღება 120 სტუდენტია, ახლა არის პირველად 130 სტუდენტის მიღება.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, დაინტერესდა 3-4 მსოფლიო ჩემპიონატზე, რომ გავიდა არის თუ არა ეს მაჩვენებელი.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განმარტა, რომ ეს ახსენა სხვა მაჩვენებლებთან ერთად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით აქ ფუნდამენტური შეცდომაა პროგრამის შეფასებაში, განათლების სისტემა არ იწერება რობერტ ფიჩერზე, ჭადრაკზე თვითონაც დადიოდა და სისტემამ რაღაც დონეზე მიიყვანა, მაგრამ ფიჩერსა და კასპაროვს არ სჭირდებოდა, საუბარი არ არის ასეთ ხალხზე, საუბარია ჯანმრთელ, ნორმალურ ბავშვზე და არა 10 გამორჩეულად ნიჭიერ ბავშვზე, რომლებიც გადანაწილდებიან 3 კავკასიის უნივერსიტეტში, 3 თსუ-ში, 4 თავისუფალ უნივერსიტეტში, ხან სხვა სქემით, იმ 110-ზეა ლაპარაკი.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განმარტა, რომ ხაზი გაუსვა ზაზა გამეზარდაშვილის როლს.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ესმის, თუმცა არასწორია ასე შეფასება.

საბჭოს წევრის, დავით კაპანაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კარგი შედეგები აქვთ, ბატონი ზაზა გამეზარდაშვილი ასწავლის უნივერსიტეტის გარეშეც, იმ გუნდს ამზადებს ცალკე და ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციებით აღწევენ.

პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა განმარტა, რომ ცალკე ასწავლის, მაგრამ არ საუბრობენ პროგრამის ნაწილზე, ცალკე ასწავლის პირველ კურსზე.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ დამატებითი დრო უნდა და ასეთ გამორჩეულ ხალხს ცალკეც ავარჯიშებენ.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანის განმარტებით, მას არ უთქვამს, რომ პროგრამას გაყავს ოლიმპიადაზე, უბრალოდ ანიშნა ლექტორის როლი.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ სტუდენტების ცალკე მომზადება ოლიმპიადისთვის და შემდეგ საბჭოზე მოყვანა არ არის სწორი.

ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ მხოლოდ დეკანის როლი გამოაჩინა.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეს რა თქმა უნდა ლექტორის დამსახურებაა, რასაც ყველა აღნიშნავს, პროექტებს რომ აკეთებინებს, ვისაც გაუმართლებს და შეხვდება ყველას კარგი შედეგი აქვს. მან აღნიშნა, რომ ყველა უნივერსიტეტს აქვს 15 კვირა, განსახილველს 13, ანუ დიდი მასალა აქვთ და ცოტა საათები, ძალიან მკაცრ რეჟიმში არიან ლექტორები. მან აღნიშნა, რომ, როდესაც უნივერსიტეტს სახელი აქვს ყველა ძლიერი და შეძლებული მათთან მიდის,

შესაბამისად უკეთესი სტუდენტები ყავთ. თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა სტუდენტებს უთქვამთ კიდეც, თუ ეს სიმართლეა სტუდენტების მხრიდან, ან შესაძლებელია სუსტი სტუდენტი შეხვდა, გარკვეულ სტუდენტებს გაუჭირდებათ ამ ტემპზე მიყოლა.
პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, პროგრამირების საფუძვლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა რთული საგანია, ამის შესახებ ჰქონდათ კომუნიკაცია უნივერსიტეტში და სართაშორისო უნივერსიტეტებს ღიად უდევს ეს კურსები და პირველ კურსზე გადიან ბევრად უფრო რთულ მასალას ვიდრე განსახილველ პროგრამაზე, აქედან გამომდინარე ძალიან რთულია იმის განსაზღვრა სასწავლო კურსი მარტივია თუ რთული, თუ სტუდენტები ძლევენ სასწავლო კურსს, მესამე კურსის მერე სტუდენტების უმეტესი ნაწილი მუშაობს პროგრამისტის პოზიციაზე, შედეგები კარგია, დაწესებულება ასწავლის მასალებს, რაც არის და ეს არ არის მათი პრაქტიკა, ნებისმიერ წამყვან უნივერსიტეტში ასეა, აქვთ სახელი და მიდიან ძლიერი ბავშვები, რაც უწყობთ ხელს, მას ახსოვს როდესაც აღნიშნულ უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა და ასწავლიდა „პითონს“, ისევე, როგორც სხვა უნივერსიტეტში ასწავლიდა სტუდენტებმა ატეხეს პანიკა, რომ არ უნდოდათ ასეთი მარტივი კურსი, ამის მერე „პითონი“ კი ქვია, მაგრამ მის ალგორითმებს ასწავლიან სინამდვილეში და როდესაც მოვიდა საათების რაოდენობა იყო გაცილებით მეტი, ასწავლის საკმაოდ რთულ კურსს, როგორიცაა „კომპიუტერული უსაფრთხოება“, „ალგორითმები პითონზე“ და სხვა, თავიდან ძალიან შეეშინდა და უცნაურად მოეჩვენა საათების რაოდენობის შემცირება, მაგრამ შეამცირეს, უფრო სწრაფად გადიან და არ არღვევენ შედეგებს, როდესაც ლექტორი მიდის და ამბობს, რომ არ ყოფნის დრო, მიდის ბრძოლა, რომ გაზარდონ საათების რაოდენობა, ოლიმპიადებზე რომ გადიან და პირველ ადგილს იღებენ არ არის არაფრის ამსახველი, თუმცა მაინც კარგია და „კიბერ უსაფრთხოებაში“ მათმა სტუდენტმა საერთაშორისო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი აიღო, რაც თავისთავად რაღაცას აჩვენებს, თუმცა ის რომ მესამე კურსიდან უკვე პროგრამისტად მუშაობენ სხვადასხვა კომპანიებში და დაახლოებით 90% მუშაობს, ეგ აჩვენებს, რომ პროგრამა არასწორად და შეცდომით არ მიდის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინც შეხვდათ, როდესაც კითხეს სად იყვნენ დასაქმებული ყველა რატომღაც ვებ-ის მიმართულებით იყო დასაქმებული.
პროფესორმა, მაქსიმ იავიჩმა, დასძინა, რომ მანაც ვებ-ით დაიწყო და ზოგადად, პროგრამისტების დიდი ნაწილი ვებ-ით იწყებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:09
დასრულების დრო: 20:12
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტის 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მესამე სტანდარტის 3.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მესამე სტანდარტის ცვლილება და იგი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნები ინგლისურ და ქართულ ვარიანტში ჩასწორდეს და გახდეს იდენტური : ამოღებული იქნას ქართულენოვან ვარიანტში ზედმეტი სიტყვები, დაზუსტდეს ცოდნის დონე (ღრმა თუ შედარებით ღრმა) , ინგლისურ ვარიანტში ცხადად განისაზღვროს თუ რომელი კვალიფიკაციის სტუდენტის მომზადებისკენაა მიმართული პროგრამა;
2. პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდეს კვალიფიკაციის შესაბამისი ტერმინოლოგიით და რელევანტური შრომის ბაზრის მოთხოვნებით;
3. განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე და რელევანტური წინაპირობები ინგლისურ ენასთან და მათემატიკასთან მიმართებით;
4. მოხდეს კომპიუტერული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის - პროგრამირების ენების თეორიის საკითხების გათვალისწინება პროგრამაში;
5. გასწორდეს კურსის „მონაცემთა ანალიზი“ შინაარსი კურსის მიზნების შესაბამისად, გახდეს სავალდებულო და წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „ალბათობა და სტატისტიკა“;
6. კურსებში „ხელოვნური ინტელექტი“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „დისკრეტული მათემატიკა“, „მონაცემთა ბაზების სისტემების შესავალი“, „დაპროგრამების საფუძვლები 1“, „დაპროგრამების საფუძვლები 2“, „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „ოპერაციული სისტემები“, „ფიზიკის საფუძვლები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ისე, რომ შეესაბამებოდეს კურსის კრედიტების რაოდენობას და საკმარისი იყოს კურსში მოცემული თემის საფუძვლიანი განხილვისთვის;
7. დაკორექტირდეს კურსის „IT პროექტის მართვა“ მიზანი, სწავლის შედეგები და განხილული საკითხები ისე, რომ შეიცავდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სპეციფიურ საკითხებს ან შეიცვალოს კურსის სახელი;
8. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს წინაპირობები;
9. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული დარგის მიმართულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალ მეთოდოლოგიაში, რომლის გამოყენებაც იგეგმება, სასურველია შეფასების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს და გადაჯგუფდეს თითოეული შედეგის შესაბამისად;
2. სასურველია შესაფასებელი კურსების შეფასების ინდიკატორები შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს რომ მარტივი იყოს შეფასება;
3. სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეესაბამოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებს;
4. სასურველია განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნული;
5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ალგებრის საკითხების სწავლება;
6. დაკორექტირდეს კურსი „დაპროგრამების საფუძვლები 1“ ისე, რომ შესაბამისი იყოს სტუდენტის პირველი სემესტრისთვის. ალგორითმებისა და მონაცემთა სტრუქტურების რთული საკითხების შესწავლა გადავიდეს შემდეგ კურსში;
7. გასწორდეს კურსის „დაპროგრამების საფუძვლები 2“ შინაარსი ისე, რომ შეესაბამებოდეს „დაპროგრამების საფუძვლებს“;
8. გასწორდეს კურსის „სამეცნიერო კომპუტინგი“ შინაარსი ისე, რომ შეესაბამებოდეს მის მიზნებს;
9. გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ყველა დარგობრივ კურსში;
10. კურსში „ფიზიკის საფუძვლები“ დაზუსტდეს პრეზენტაციის ტიპი;

11. ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა Software Engineering I და Software Engineering II, სასურველია შეფასების უფრო მრავალფეროვანი კრიტერიუმების გამოყენება;
12. საჭიროა პროგრამამ თითოეული კურსის ფარგლებში უზრუნველყოს საკონსულტაციო სერვისის განრიგის შემუშავება და დარწმუნდეს იმაში, რომ სტუდენტები შესაბამის მომსახურებას დროულად და ეფექტიანად იღებენ;
13. სასურველია სტუდენტებთან და სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრისას მოხდეს ოქმის სახით ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის;
14. სასურველია დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება, რაც გულისხმობს რომ უფრო დეტალურად გაანალიზდეს გამოკითხვის შედეგებზე ან მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრებისას, მათი მხრიდან დაფიქსირებული მოსაზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგები, რაც გამოყენებული იქნება პროგრამის გაუმჯობესების ნაწილში;
15. სასურველია პროგრამის შემუშავებისას მოხდეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აქტიური ჩართულობა თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფთან ერთად;
16. სასურველია გარე ექსპერტთა შეფასებით უფრო მკაფიოდ ფიქსირდებოდეს შემფასებელთა რეკომენდაციები, რჩევები, მათი შეხედულება, რაც საშუალებას მისცემს უსდ-ს, რომ ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნები, შეფასების შედეგები და რეკომენდაციები, გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს №29, 14.05.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 - ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	-
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, აკრედიტაციიდან 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ მონიტორინგის განხორციელების პირობით, 2021 წლის 5 ივლისს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაათვალიერა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ექსპერტი, მაკა ჯავახია კი ჩაერთო ვიზიტის მეორე დღეს, როდესაც განხორციელდა შეხვედრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.
მისი თქმით, რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა, აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმულ რეკომენდაციები, ძირითადად, II, III და IV სტანდარტებს ეხებოდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მიერ დამატებით შეფასებული იქნა I (სრულად) და V სტანდარტის 5.2 ქვესტანდარტი. მესამე სტანდარტის რეკომენდაცია მიემართებოდა მეორე

სტანდარტსაც და გათვალისწინებული იქნა მეორე სტანდარტში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო 7 რეკომენდაცია, I, II, IV, V სტანდარტი, რომელიც შეფასდა შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, უნივერსიტეტმა მის გასაოცრად პანდემიის პირობებში ძალიან ბევრი ცვლილება განახორციელა, გაიზიარა/გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია ეხებოდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, უნივერსიტეტმა მოახდინა სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიების აღჭურვა, ბოტანიკის, ფარმაკოგნოზიის, ქიმიის, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის სასწავლო ლაბორატორიები და ეს ადგილზე ვიზიტისას ნახეს, გარდა ამისა სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებისა და ჩართვის მიზნით შეიქმნა ცენტრი სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების სინთეზისა და კვლევების ცენტრი, რომლის პირველი შემთხვევაა საქართველოში, რომ აფინანსებს უნივერსიტეტი და მისი დაფინანსება მილიონზე მეტია.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა შეიმუშავა გაუმჯობესების მექანიზმები რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართვას საერთაშორისო აქტივობებში, თუმცა პანდემიის გამო წასული სტუდენტი ვერ იქნებოდა, თუმცა პარტნიორ უნივერსიტეტებთან განახლდა მოლაპარაკებები გაცვლით პროგრამებზე.

აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა ჩაატარა რამდენიმე კონკურსი და არჩეული იქნა სამი პროფესორი, გარდა ამისა ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორებიც იქნა არჩეული, რაც მნიშვნელოვანი იყო 2020 წლიდან პრაქტიკის ბაზების გაფართოებაზე იყო რეკომენდაცია გაცემული და დაემატა დაახლოებით 8 მემორანდუმი პრაქტიკის ბაზების დამატებაზე, ასევე გაცმული იყო რეკომენდაცია არჩევითი საგნების სავალდებულო კომპონენტში გადატანის შესახებ, მოხდა სამი საგნის გადატანა და სილაბუსში შეტანილ იქნა ცვლილებები, შესაბამისად ყველაფერი მაქსიმალურად შესრულდა.

გარდა ამისა საბჭოზე, სადაც რეკომენდაციები იყო გაცემული, იყო რაღაც კორექტივები, რომლებიც ეხებოდა სილაბუსებს, მაგ., სასწავლო კურსის „ანალიზური ქიმია (თვისებითი ანალიზი)“ წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსით „ზოგადი და არაორგანული ქიმია“, გასწორდა ტექნიკური უზუსტობები, სასწავლო კურსის „ანალიზური ქიმია (თვისებითი ანალიზი)“ წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსით „ზოგადი და არაორგანული ქიმია“; გასწორდა ტექნიკური უზუსტობა „ზოგადი და არაორგანული ქიმიის“ სილაბუსის, IV კვირის პრაქტიკულ მეცადინეობაზე „ხსნარის კონცენტრაციის განსაზღვრა აერომეტრით“; ჩასწორდა „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ სილაბუსი.

ახალი რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს, ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე რჩევა, თუმცა მათი შესრულება სავალდებულო არ არის, თუმცა ეხებოდა იმას, რომ შესაძლებელი იყო უფრო მეტად დეტალური მუშაობა, სასურველია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან - „ფარმაცევტული მარკეტინგი“ და „ფარმაცევტული მენეჯმენტი“ გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, განსაკუთრებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რადგან მნიშვნელოვანია, რომ პირველი ვიზიტის დროსაც იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი და ჰქონდა შედარების საშუალება რა შეიცვალა და რა გააკეთა უნივერსიტეტმა ურთულეს პირობებში, ზეპირად ახსოვდა რამხელა იყო ქიმიის ლაბორატორია 2019 წელს და რამხელა დახვდა ბოლო ვიზიტზე, როგორი იყო ბიოქიმიის ლაბორატორია, მიკრობიოლოგიის ლაბორატორია და როგორია ახლა, ექსპერტი, მაკა ჯავახია, კი პირველად იყო და ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი იყო, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. დაწესებულებამ ყველაფერი გააკეთა რაც შეეძლო, ჯერ კიდევ 2020 წელს, რადგან მონიტორინგი ერთი წლის ვადაში უნდა განხორციელებულიყო და მზადება ამ რეკომენდაციების შესასრულებლად ჯერ კიდევ 2019 წლის ზაფხულიდან დაიწყეს, მაშინ, როდესაც მშვიდი პერიოდი იყო, დაწესებულების წარმომადგენლებს დიდი მოლოდინი აქვთ ახალ ცენტრთან დაკავშირებით,

გაიხსნა სიმსივნის საწინააღმდეგო და ქიმიური პრეპარატების კვლევის ცენტრი, კანცლერის დაფინანსებით, მილიონ სამასი ათასია გამოყოფილი ამ ცენტრის ფუნქციონირებაზე და დაწესებულებას დიდი მოლოდინი აქვს კარგი შედეგის, 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებისთვის მოიყვანეს ორი მთავარი მეცნიერი აკადემიურ თანამდებობაზე, თენგიზ წივწივაძე და ნოდარ ჩიგოგიძე, მუშაობა უკვე დაწყებულია. ინტერნაციონალიზაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება სისტემატიურად მუშაობს, არიან მსურველებიც, თუმცა შემხვედრი უნივერსიტეტიდან იყო თხოვნა, რომ ცოტა ხანს დალოდებოდნენ სიტუაციის გაუმჯობესებას, ამიტომ არიან მოლოდინში და სტუდენტებმა იციან, რომ უნივერსიტეტი მათ თანადაფინანსებას გაუკეთებს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ მონიტორინგის ვიზიტამდე დაიწყეს მუშაობა და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოიყვანეს, როგორც პროგრამის, ასევე სასწავლო კურსების ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, კომპეტენციები განსაზღვრეს, ეს არის ცოდნა-გაცნობიერება უნარები და პასუხისმგებლობა, ავტონომიურობა, კვალიფიკაცია იგივე დარჩა. გარდა ამისა ჰქონდათ ახალი გარე ექსპერტის შეფასება. მისი მოსაზრებით, ხარისხის მექანიზმებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ყოველი სემესტრის ბოლოს დაწესებულება გამოიკითხავს სტუდენტებს, სწავლობენ კურსდამთავრებულთა მოსაზრებებს, მუდმივი კომუნიკაცია აქვთ დამსაქმებლებთან, პროფესორებთან, შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მისასალმებელია, ამხელა რეკომენდაციების, მითუმეტეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზას ეხებოდა საკითხი და ერთი წელი ძალიან მცირე პერიოდი იყო, საკმაოდ დიდი შრომა გასწია უნივერსიტეტმა. იგი დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში, რა დანადგარები/აპარატები იქნა შეძენილი. მან აღნიშნა, რომ ძალიან კარგია კვლევითი ცენტრის გახსნა და ძალიან კარგი იქნება თუ საქართველოშიც გაჩნდება კვლევითი ჯგუფები სასწავლო უნივერსიტეტებში, მაგრამ დაინტერესდა თუ ვინ არის კიდევ ჩართული დასახელებული ორი პიროვნების გარდა, რადგან ისინი არაორგანული ქიმიის სპეციალისტები არიან და მთლად პირდაპირი ბმა არაორგანულ ქიმიასა და ფარმაცევტულ პრეპარატებს, მითუმეტეს სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატებს, კვლევის კუთხით პირდაპირი ჩართულობა ვერ ექნებათ. ასევე დაინტერესდა კვლევით ცენტრში სტუდენტების ჩართულობის შესახებ, თუ როგორ მოიაზრება სტუდენტების ჩართულობა კვლევით ცენტრში განსახილველ პროგრამასთან მიმართებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კანცლერის დებულება, სადაც პირდაპირ არის ჩანაწერი, რომ ცენტრის მუშაობაში ჩაერთვება მხოლოდ აღნიშნული ორი მეცნიერი კი არა მედიცინის ფაკულტეტის აფილირებული პროფესორები და სტუდენტები, რომელთა ჩართულობა ცენტრის მუშაობაში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი/აუცილებელი, შესაბამისად ეს არ არის მხოლოდ ფარმაციის პროგრამისთვის შექმნილი ცენტრი, არამედ ეს არის მედიცინის ფაკულტეტზე შექმნილი ცენტრი, მან აღნიშნა, რომ ქიმიკოსები ჰყავთ მედიცინის ფაკულტეტზე, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას და ყველა თავის წვლილს შეიტანს ცენტრის მუშაობაში. მუშაობა ახლახანს დაიწყო და იმის მიხედვით თუ როგორ არის საქმეები განაწილებული მეცნიერებს თვითონ აქვთ გაწერილი.

ლაბორატორიების შესახებ მან განაცხადა, რომ პანდემიით გამოწვეული სირთულეების გათვალისწინებით, მაგ., მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში - ერთ აპარატთან, ერთ მიკროსკოპთან არ ყოფილიყო ბევრი სტუდენტი 25 კაციან ჯგუფებს ყოფენ ორ ნაწილად და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში 13 მიკროსკოპია, ყველა სტუდენტს თავისი სამუშაო მაგიდა აქვს, აბსოლუტურად ყველა ინდივიდუალურად ზის თავის მიკროსკოპთან, აქვს

თავისი სამუშაო სივრცე, პრეპარატები, აქედან გამომდინარე დაწესებულება იცავს რეგულაციებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მისცეს ნებართვა პრაქტიკული სამუშაოები ადგილზე განეხორციელებინათ.
მან განაცხადა, რომ გახსნეს ძალიან საინტერესო ბოტანიკისა და ფარმაკოგნოზიის ლაბორატორია, შემოიტანეს ახალი მულაჟები ანატომიური სწავლებისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩუბინიძემ, სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პრეპარატი ჯერ საბოლოოდ არ არის მიყვანილი პრეპარატის დონეზე, ფარმაცევტების ჩართულობა შემდეგნაირია, პროცესში ჩართულია პროფესორ, რომელიც წინა კლინიკურ და კლინიკურ კვლევებს გააკეთებს, ასევე ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელმაც უნდა გააკეთოს პრეპარატის დოკუმენტაცია ისე, რომ წარადგინონ და დაარეგისტრირონ, რაც კლინიკურ მონაცემებზე იქნება დამყარებული, შესაბამისად მთელი ექიმები და ფარმაცევტები ჩართულნი არიან ამ პროცესში, ამას სჭირდება პრეპარატის ფარმაკოპერესტატიის შექმნა და სხვა.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დასძინა, რომ მისი კითხვა ეხებოდა სტუდენტების ჩართულობასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეიძინეს სპექტროფოტომეტრი, უნდოდათ სითხოვანი ქრომატოგრაფის შეძენა, თუმცა ძალიან ძვირია და ვერ შეწვდნენ, განაახლეს უკვე არსებული აპარატურა, იყიდეს მიქსერები, ქრომატოგრაფი, გამამჟღავნებელი, ულტრაიისფერი აპარატი, დაამატეს მიკროსკოპები, რაც სჭირდებოდათ, რადგან ფარმაკოგნოზიის კაბინეტში აეღოთ ანათალები და ჩაეტარებინათ მცენარეთა ორგანოების მიკროსკოპული კვლევა, ასევე, სრულიად განაახლეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორია და სრულიად აღჭურვეს ახალი აპარატურით, რასაც გაწვდნენ.
სტუდენტების ჩართულობის შესახებ განაცხადა, რომ ისინი ალბათ უფრო რუტინულ სამუშაოებს შეასრულებენ, წინა კლინიკურ კვლევებსა და სტანდარტიზაციის მეთოდებში, რადგან მიეჩვევიან მეცნიერულ კვლევასა და მუშაობას, ასევე მნიშვნელოვანი იქნება, რომ ისინიც რაღაც წვლილს შეიტანენ, ისეთ გადამწყვეტ პროცესებში იქნებიან ჩართული სტუდენტები.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, დაინტერესდა იგეგმება თუ არა ლაბორატორიაში გატარებული საათების ასახვა სტუდენტთა კრედიტებში, თუმცა ის, რომ ამ ტიპის ლაბორატორიებში მუშახელი სტუდენტები არიან მათ დარგში მიღებულია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ კრედიტების აღიარებაზე საუბარი არ არის, რადგან რა სამუშაოს შეასრულებენ სტუდენტები უცნობია, ლაბორატორიამ მუშაობა ახლახანს დაიწყო, 2020 წლის დეკემბერში დაფუძნდა, სანამ შემოიტანეს აპარატურა და ა.შ. ახლახანს ჩამოიტანეს ქიმიური რეაქტივები სევანის ტბიდან, მაღალ აქტიური ნივთიერებები, რომლებიც საჭიროა პრეპარატის მოსამზადებლად, შესაბამისად სექტემბრიდან დაიწყება რეალური სამუშაოები და თუ შესაძლებელი იქნება სილაბუსებში ასახვა, როგორც ლაბორატორიული სამუშაო, ცხადია კრედიტებშიც ასახავენ, თუ ეს იქნება მეცნიერების კუთხით ჩატარებული სამუშაო და სტუდენტებს ბიოქიმიაში ცალკე ლაბორატორიებში პრაქტიკული სამუშაოს საშუალება ექნებათ ცხადია ორმაგ სამუშაოში კრედიტები არ მიენიჭებათ, გააჩნია რა კუთხით ჩაერთვებიან სტუდენტები, თუმცა საუბარი იმაზე, რომ სტუდენტები აუცილებლად ჩაერთვებიან ცენტრის დებულებაშია გაწერილი. მისი თქმით, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში იყიდეს ავტოკლავები, წყლის სახდელი აპარატები, რეაქტივები და სხვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ თუ დაწესებულებას ჰქონდა ერთი ოთახი, ის გადიდდა, გარემონტდა და თანამედროვე სტანდარტში მოექცა რაც უნდა ჰქონდეს სტუდენტს და არა ისე, როგორც ადრე იყო.
საბჭოს წევრმა დააზუსტა საუბარი იყო ბიოლოგიის თუ ქიმიის ლაბორატორიაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საუბრობდა ბიოქიმიისა და ქიმიის ლაბორატორიაზე, დაწესებულებას ადრე ჰქონდა ძალიან პატარა, შემდეგ გაიყო ბოტანიკა, ფარმაკოგნოზია და ა.შ. ახლა კი გარემონტდა თანამედროვე დონეზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:39

დასრულების დრო: 20:56

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 17 აგვისტოს 21:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ